ნიანგი

ფასი 10 კაპ.

№ 4 (27) გაზ. „კომუნისტი“-ს სალიტ.-სამხატვრო ორკვირეული დამატება № 4 (27)

# ოცდახუთი თებერვალი

(მოთხრობა)

## I. წითლები მოდიან!

ორი კვირაა განუწყვეტლივ გრიალებენ ზარბაზნები.

ყოველ გასროლაზე საშინლად ზანზარებენ ქალაქის კედლები და ფანჯრის მინებს ზრიალი გააქვს.

გაზეთები ერთხმად გაჰკივიან:

— მოქალაქენო! საქართველოს თავისუფლებას ხიფათი მოელის!.. მოდიან წითელი ყაჩაღები, წითელი ბანდიტები, ჩვენი ქვეყნის გასანადგურებლად! დაირაზმენით მათ წინააღმდეგ საბრძოლველად!..

სასახლის წინ აურებელ ხალხს მოუყრია თავი.

ტრიბუნაზე ადის ორატორი.

ხალხი სმენად იქცა.

— მოქალაქენო! — დაიძახა ორატორმა: — წითლები მოდიან!..

— მოვიდნენ... კეთილი იყოს მათი აქ მოსვლა! — გაისმა ვიღაცას ხმა ხალხში.

ხალხი აღელდა. ეძებს ამ სიტყვების დამძახებელს.

ზოგნი კი ჩუმად იცინიან.

მოდიან და თან მოაქვთ სიკვდილი, გაუპატიურება, განადგურება! — განაგრძო ორატორმა: — დაიცავით თქვენი დედების, დების და ქალების ნამუსი ამ ყაჩაღებისაგან!..

— ისე ღმერთი გიშველის, რაც შენ მართალს ამბობ! — სთქვა გიგუცამ და თავის ამხანაგ ვასოს გამოსწია.

ორივენი გამოვიდნენ ხალხიდან.

— წავიდეთ, სადაც ჩვენსავით ჭუჭყიანი ხალხია; ეს ხალხი სუფთა ხალხია, ჩვენ მაგათთან საქმე არა გვაქვსო, — უთხრა ამხანაგს გიგუცამ და თავისუფლების მოედნისაკენ გაემართნენ.

აქაც სავსეა ხალხით.

პატარ-პატარა ჯგუფებად დგანან და ბაასობენ.

ყველგან ომზეა ლაპარაკი.

ორატორი მოუწოდებს ხალხს წითლებთან საბრძოლველად.

## II. ატანტა რაღა ეშმაკია?

ომი თანდათან ახლოვდება

ზარბაზნების გრიალი უფრო მედგრად ისმის, უფრო მკაფიოთ...

შეშინებული, გაფითრებული სახეები.

ამასთან ერთად მხიარული, მოშლიმარი სახეებიც...

ხალხი ემზადება ზოგი გასაქცევად, ზოგი წითლების მისაგებებლად.

რკინის გზის სადგური სავსეა გასაქცევად მომზადებულ „სუფთა ხალხით“.

ნაძალადევის ხიდთან რამდენსამე მუშას მოუყრია თავი და ბჭობენ.

საიდანაც გაჩნდა გიგუცა და პირდაპირ მათ ჯგუფში შეჰყო ცხვირი, თითქო დაუბარებიათო.

— ვნახოთ, რა იქნება, ყველას ხომ არ ამოგვწყვეტენ და ალბად ზოგი ჩვენგანი ცოცხალი დარჩება! — სთქვა ერთმა მუშამ და ხელი ჩაიქნია.

— ამხანაგო, მიმართა გიგუცამ, — შენ მუშა კაცი ხარ და არ გიხდება მაგეთი სიტყვები... ვინ უნდა ამოგვწყვიტოს? რადა? აქ ალამაჰმადხანის ბაშიბუზუკები კი არ მოდიან, არამედ სოციალისტურ სახელმწიფოს ჯარი მოდის ჩვენივე ქვეყნის სოციალისტების წინამძღოლობით... მართლა სიკვდილი და განადგურება კი არ მოაქვს ამ ჯარს, როგორც ჩვენი ორატორები გაჰკივიან, არამედ მოაქვს მშვიდობიანობა, ძმობა, ერთობა. მათი მოსვლით ჩვენ კი არ ვკარგავთ თავისთფლებას, პირიქით განვთავისუფლდებით სრულიად ანტანტის ზეგავლენისაგან...

— ძმობილო, ეგ ატანტა რაღა ეშმაკია? — ჰკითხა გულუბრყვილო მეისრემ.

— ანტანტა ეს რამდენიმე ბურჟუაზიული სახელმწიფოა ერთად შეკავშირებული, რომელთაც უნდათ, რომ მთელი ქვეყანა ხელში ჩაიგდონ და მთელა ქვეყნის მუშები დაიმონონ! ეს ხალხი, ახლა რომ გასაქცევათ ემზადება, მათ ემსახურება, მათი ლაქიებია, — აუხსნა გიგუცამ.

დაკმაყოფილებულმა მეისრემ გაიღიმა, ნიანგის ოდენა პირი გააღო, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარაფერი სთქვა.

— შენ რა გეგონა? — ჰკითხა გიგუცამ.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, ვის არ გინდა, ყველას „ატანტა“ აკერია პირზე, მე რაღაც ძვირფასი ბურჯუების საჭმელი მეგონა! — მიუგო მეისრემ და გზას გაუდგა.

ყველა იქ მყოფთ გულიანად გადიხარხარეს.

## III. გიგუცას ეჭვიანობა.

გათენდა 24 თებერვალი. ზარბაზნების ქუხილი აღარ ისმის.

აღარ ზანზარებენ კედლები.

აღარ ზრიალებენ ფანჯრის მინები.

რუსთაველის პროსპექტზე ვიღაც ცხენოსანი დააჭენებს ცხენს და ხალხს „გამარჯვებას“ ულოცავს...

გიგუცა ეშმაკურად იღიმება და ეძახის ცხენოსანს:

— მოქალაქევ, ფრონტზე როგორ არის საქმე?

— კარგად არის!.. ჩვენმა ჯარმა ბოლშევიკები დაამარცხა და გააქცია!..

გიგუცას არ სჯერა ეს ამბავი.

მაგრამ სროლის ხმა რომ არ ისმის, ეს კი ცოტად აეჭვიანებს მას.

გავიდა თავისუფლების მოედანზე.

აქ ხალხი ბლომად იყო. აქა-იქ იდგენ ჯგუფებად და ჩუმად ბაასობდენ.

გიგუცა მიდის ხან ერთ ჯგუფთან, ხან მეორესთან.

რომელ ჯგუფთანაც მივიდა, სწრაფად გაჩუმდენ; ან ლაპარაკი გადაასხვაფერეს.

ტრამვაის ბუდკასთან ერთმა ლიპიანმა მეორეს, თავისავით ლიპიანს, შეუმჩნევლად ხელი წაჰკრა, გიგუცაზე თვალით უჩვენა და წასჩურჩულა:

— იმან, შპიონია აი!

მეორემ პირზე ხელი მიიფარა და ანიშნა გაჩუმდიო.

რაკი აქ არაფერი გაიგო, გიგუცამ, ჩაუარა პუშკინის ქუჩას, იარმუკას, გავიდა ალექსანდრეს ბაღთან, აქედან ვორონცოვის ხიდით მივიდა პლეხანოვის პროსპექტზე, კირკის ქუჩის კუთხეში.

ყველგან აურებელი ხალხი ნახა, ყველგან ჩუმი მითქმა-მოთქმა იყო, მაგრამ ომისა კი ვერაფერი გაიგო.

— ოსტატო, ომისა ხომ არაფერი იცი? — ჰკითხა გიგუცამ კირკასთან მდგომ კაცს, რომელიც განმარტოებით იდგა.

— ვა! ყურუმსაღო, მინისტარი ხომ არა ვარ რომ ომის ამბავი ვიცოდე! — თითქმის შეტევით მიუგო უცნობმა: — თუ ომის ამბავი გინდა, წადი ჟორდანიასთან, რამიშვილთან, იმან ყველაფერი გეტყვის!..

— არც მინისტარი ხარ, არც თითისტარი არც ნიჩბისტარი, მაგრამ შეიძლება გაგეგოს რამე და იცოდე! — უთხრა გიგუცამ და ვერის ხიდისაკენ გაეშურა.

## IV. ახალი ამბავი.

თითქმის შუაღამე იყო, როდესაც გიგუცა დაწვა დასაძინებლად.

მეორე დილას, 25 თებერვალს, ჯერ ისევ ბნელოდა, რომ ჰაერոპლანის ხმაურობამ გამოაღვიძა იგი.

— რაღაც ამბავია!—გაიფიქრა გიგუცამ და სწრაფად წამოხტა ფეხზე.

ხუთი წუთის განმავლობაში ის უკვე ქუჩაში იყო.

— გაიგე ახალი ამბავი?—ჰკითხა პირველ შეხვედრილმა მეზობელმა.

— რაშია საქმე?—გულის ფანცქალით შეეკითხა თავის მხრივ გიგუცა.

გიგუცა პირდაპირ ოლღას ქუჩისკენ გაექახა.

ერთ ჭიშკართან ერთი ხნიერი ქალი იდგა და ცხარედ მოსთქვამდა ტირილით.

— რა გატირებს დედი?—ჰკითხა გიგუცამ.

— წუხელი პირველ საათზე მთელმა ჩვენმა ჯარმა გაიარა, მცხეთისკენ წავიდა, დღეს ბოლშევიკები მოვლენო, ამბობენ, და ყველას ყელებს დაგვჭრიანო!—მოთქმით უპასუხა ქალმა.

გიგუცამ დააშოშმინა იგი. აუხსნა, თუ რისთვისაც მოდიან ბოლშევიკები და რომ მას და სხვა მისთანებს მათგან შიში არაფერი მოელის...

მოხუცი ქალი დაშოშმინდა. გიგუცა რუსთაველის პროსპექტისაკენ გაემართა.

კინო „სოლეი"-სთან რამდენიმე კაცი იდგა და წყნარად ბაასობდენ.

— რა მოხდა, ამხანაგებო?—ჰკითხა გიგუცამ.

— გადატრიალება!—იყო პასუხად:—მენშევიკები გაიქცნენ, ბოლშევიკები მოდიან!..

გიგუცამ თავისუფლად ამოისუნქთა, უკან გატრიალდა და ვერის დაღმართის კუთხეში ტრამვაის ისართან გაჩერდა.

## V. სიკო მიდის ავჭალაში.

გიგუცა დგას კუთხეში და გაჰყურებს მოსკოვის ქუჩას.

მან ნახა ნუშა სიკო, რომელსაც ზურგზე ლოგინი წამოეკიდა, ხელში პატარა დაგლეჯილი ჩემოდანი ეჭირა და სწრაფი ნაბიჯით ვერის ხიდისკენ მიდიოდა.

— გამარჯობა, სიკო, სად მიხვალ?—დაუძახა გიგუცამ.

— ვოგზალში, ვოგზალში,—მიაძახა სიკომ და განაგრძობდა გზას.

გიგუცამ გააჩერა საკო კვლავ ჰკითხა:

— ვოგზალში რა გინდა?

— რა ვიცი, ბოლშევიკები მოდიანო!

გიგუცამ გულიანად გადიხარხა.

— შე ჩურჩუტო, შე გამოტვინებულო სად მიდიხარ?—სიცილით უთხრა გიგუცამ.

— რა ვიცი, წავალ ავჭალაში...

გიგუცამ უფრო მაგრა გადიხარხა და ბრძანების კილოთი უთხრა:

— წამოდი უკან, ვიდრე შენი ოთახი არ დაუბანდებიათ!

— ბოლშევიკები?—ჰკითხა სიკომ.

— წამო სახლში, დაჰყარე შენი ხაბაკი და წავიდეთ ბოლშევიკების შესახვედრად...

მცირე ყოყმანის შემდეგ სიკომ ხელახლა დაიკავა თავისი ოთახი და გიგუცასთან ერთად თავისუფლების მოედნისაკენ გაემართა.

— შე დათვო, რომელი ბურჟუა-კაპიტალისტი შენა ხარ, რომ ბოლშევიკებს გაურბიხარ! უთხრა გიგუცამ.

სიკომ ჩაიცინა და არაფერი უპასუხა.

თითონაც არ იცოდა, თუ რისთვის გარბოდა და რა ეპასუხა...

## VI. თავისუფლების მოედანზე.

თავისუფლების მოედანზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი და ბოლშევიკების მოსვლას ელოდა.

მათ მოლოდინში ქალაქის გამგეობის მინარეთზე ხალხმა წითელი დროშა ააფრიალა.

სიკო და გიგუცა პუშკინის ქუჩისაკენ გაექანენ, საიდანაც უნდა მოსულიყო წითელი ჯარი, მაგრამ მათ შორს წასვლა არ დასჭირებიათ.

ძველ სემენარიასთან შეხვდენენ წითელ ჯარს, რომელიც მწყობრი და მძიმე სიარულით მოემართებოდა თავისუფლების მოედნისაკენ.

— ურა!—ეძახის ხალხი ჯარს.

ჯარი იღიმება, კმაყოფილია ხალხის შეხვედრით.

ჯარის წინამძღოლი სამხედრო კომისარი ესალმება აღტაცებულს ხალხს და მჭუხარე ხმით მიჰმართავს:

— ამხანაგებო! ჩვენ მოველით აქ არა იმიტომ, რომ ხალხი დავიმონოთ, არამედ იმიტომ, რომ გავანთავისუფლოთ მშრომელი ხალხი კაპიტალისტების ბრჭყალებისაგან!.. ჩვენ მოვედით აქ ქართველი მშრომელი ხალხის შუამდგომლობით!.. გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს!!..

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!—ისმის პასუხად აღტაცებული ხალხისაგან.

სიკო გაოცებული შეჰყურებს ამ „ყაჩაღებად"მონათლულ ჯარს, მათ კეთილ, მომღიმარ სახეებს და გაოცებულია მათი განწყობილებით ხალხისადმი.

მოვიდნენ თავისუფლების მოედანზე.

მეორე სამხედრო კომისარი მიჰმართავს:

— ამხანაგებო! ჩვენ მოვედით აქ არა იმიტომ, რომ დავიმორჩილოთ ქვეყანა, არამედ იმიტომ, რომ მოგიტანოთ ძმობა, ერთობა და მშვიდობიანობა!..

სანახაობით აღძრულ სიკოს თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის და ფიქრობს:

— როგორ არის, რომ „სიკვდილის მატარებელი ყაჩაღები" მოდიან ჩვენთან და თან მოაქვთ ჩვენთვის ძმობა, ერთობა და მშვიდობიანობა!..

ჯარი გაიშალა მოედანზე, რუსთაველის პროსპექტზე. აუარებელი ხალხია ქუჩებში. ხალხი კითხვებს აძლევს ჯარისკაცებს. უკანასკნელნი დაუზარებლივ უპასუხებენ. ბარონის ქუჩასთან კარგა ბლომად ხალხი შეგროვილა. შუაში დგას ახალგაზრდა ჯარის კაცი და ხალისიანად უამბობს წითელი ჯარის ამბავს.

ამხანაგო, საქართველოს საქმე როგორ იქნება?—ჰკითხა გიგუცას და მიუგო:

— საქართველო აწი თავისუფალი ქვეყანაა და მისი ბედ-იღბალიც საკუთარ ქართველი ხალხის ხელშია. ამას იქით ქართველ ხალხზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს ამ თავისუფლებას და როგორ მოუვლის თავის ქვეყანას...

— რაკი ასეა,—ეუბნება გიგუცა, მაშ გაუმარჯოს ძმობა-ერთობის მატარებელ წითელ ჯარს და მასთან ერთად, საქართველოს და მის მშრომელ ხალხს!..

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!—ისმის პასუხად ხალხისაგან და მას ბანს აძლევს ისტორიული დღის მხილველი მთაწმინდა, ის მთაწმინდა, რომელსაც სხვაც ბევრი ახსოვს ჭაღარა თბილისის თავზე გადამხდარი ისტორიული ამბები.

ნ. ა—ლი.

## 25 თებერვალი.

(4 წლის თავზე).

გაშმაგებული ჰქროდა გრიგალი,
ჰქროდა გრიგალი თოვლის ფოფქებით.
უცხო ამბებზე დუდუნებს მტკვარი,
ტფილისი ძველი მწარე ფიქრებით
ელის დილის ჟამს გაფითრებული...
ქალაქს არ სძინავს. დინამიტებმა
დაჰფარეს ზეცა ცეცხლის ატლასით..
შეგუბდა სისხლი... კოჯრის კალთებმა
ჩაიკრეს მსხვერპლი ასი, ათასი...
და ტაბახმელაც გააფთრებული,
უკანასკნელად ანჩხლობს, კაპასობს...
ცისკარს გადაჰყვა ღრუბლთა კრებული,
დილა მუქფერში ნაზობს კისკასობს...

—

და საქართველოც ახლად შობილი.
წითელი ფერებში გამოეხვია.
მშრომელმა იცნო თვისი ძმობილი,
მშრომელი მშრომელს გადაეხვია,
ვაშას ძახილში, ურყევის რწმენით!..

—

და საზეიმოდ მოირთო ქუჩა,
წითელი ფერის მოჰქრის ლაშქარი.
საბჭოში შედის გლეხი და მუშა,
—წასულს ჯალათებს ზიზღი და მსჯავრი...
გრიალებს ხმები ფოლადით ნებით.

—

ეს იყო მაშინ, როცა ტფილისზე
სამფეროვანი დროშა დაჰქროდა.
ეს იყო მაშინ, რომ ერი-ერზე
შურისძიებით ძმა-ძმის სისხლს სწოვდა...
გოლიათებმა ჩამოჰკრეს ზარა,
და საქართველომც რუხვ თებერვალი,
იწამა მკვეთრი ოქტომბრის ქარი...
და დღეს ურყევი და წელ მაგარი
უყივის მოძმე მსოფლიოს მუშებს:
„ბრძოლის ქარ-ცეცხლში ჩვენ არ ვგრძნობთ
დაღლას,
ცეცხლის ტარებით დავსწვავთ შავს დროსა
პროლეტარებო, მხნედ ასწით მაღლა,
თავისუფლების წითელი დროშა!!...

**ონიხიმე ქვიტირელი.**

# „გამოდიან... გამოდიან...“

(ნამდვილი ამბავი)

ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ბოლშევიკები და მენშევიკები პირველ რევოლიუციის შემდეგ არ იყვენ სამუდამოდ დაშორებულნი და მუშათა საბჭოებშიაც ორივე მიმართულების დეპუტატები გადიოდენ, იმ დროს ტფილისის ერთ პატარა დაწესებულებაში მსახურებდა ახალგაზრდა, რომელსაც დღე და ღამბოლშევიკები აგონდებოდა და შიშისაგან აღარ იცოდა, როგორ შოქცეულიყო. ამ ახალგაზრდას ეძახდენ სამუელს, გვარი მისი არავინ ჩვენთაგანმა არ იცოდა.

როდესაც ის სტამბაში შემოსდგამდა ფეხს, უეჭველად უნდა რაიმე ახალი ამბავი მოეტანა ბოლშევიკების შესახებ, გამოვიდოდა თუ არა რაიმე ბოლშევიკური ლიტერატურა, ან პროკლამაცია, მას ამის გამო ერთად-ერთი საზომი ჰქონდა, რაც თავდებოდა მხოლოდ ერთი სიტყვით:

— „გამოდიან!“

ამ მის სიტყვაში იყო ბევრნაირი შინაარსი. აქ იყო ჩაქსოვილი ყველაფერი ის, რაც მოხდა სამოქალაქო ომის დროს და შემდეგ. სიტყვა „გამოდიან“ სამუელისათვის ნიშნავდა მას, რომ ბოლშევიკურ პარტიას ქუჩებში ხელჩართული ბრძოლა გაეჩაღებია ბურჟუაზიასთან და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ან უნდა დამარცხებულიყო ან გაემარჯვნა. და თითქოს სამუელი ინსტიქტიურად გრძნობდა, როგორც გლეხის შვილი, რომ ერთხელაც იქნება ბოლშევიკები მართლაც გამოვლენ და ვაი მათ, ვინც მშრომელთა ძალაუფლების დამკვიდრებაში მათ ხელს შეუშლისო.

ჯერ კიდევ მენშევიკების ახლად დაარსებულ გვარდიას ტფილისის არსენალი არ ჰქონდათ აღებული, რომ სტამბაში გულგახეთქილი შემოვარდა სამუელი და განაცხადა:

— გამოვიდენ ის შეჩვენებულები, კაცო, გამოვიდენ!..

— ვინ გამოვიდენ, რას ამბობ; გაგვაგებინე რაშია საქმე, სამუელ?—მიაძახეს მუშებმა.

— ვინ და—ბოლშევიკები. სხვა ვინ უნდა გამოვიდეს; არ იცით, რომ ბოლშევიკების მეტი ვვრავინ ვერ გაბედავს გამოსვლას, რას მეკითხებით?..

— მერე შენ რამ შეგაშინა; შენ ხომ ბოლშევიკები არაფერს არ გიზამენ,—აძლევდენ შეკითხვას მუშები.

— ამბობენ, ბოლშევიკებს ღმერთი არა სწამთ, ხატი, ჯვარი, მირონობა მათ არ იციან, მღვდლებს გაპარსავენ და ეკლესიებს დაკეტვენო...

— სამაგიეროდ ბოლშევიკები ბურჟუების, თავად-აზნაურობის და კაპიტალისტების მოსისხლე მტრები არიან, ხომ იცი, რომ ისინი მენშევიკებივით არშიყობას არ დაუწყებენ ბურჟუა-კაპიტალისტებს და ევროპის აგენტებს,—უხსნიდენ მას მუშები.

რაც რომ „დემოკრატიული საქართველოს“ „დამოუკიდებლობა“ გამოაცხადეს მენშევიკებმა და საქართველოს მუშები და გლეხები მოსწყვიტეს ოქტომბრის რევოლიუციას, სამუელი რაღაც სიხარულს განიცდიდა, კარგ ხასიათზე იყო, აღარ სწუხდა, რადგან ის დარწმუნებული იყო, რომ მას მოასვენებდენ და აღარსად გაიწვევდენ რაიმე გამოსვლის დროს, თუმცა გერმანიის ჯარების დანახვა მას ტფილისის ქუჩებზე არ ესიამოვნა, რადგან ის მაინც ვილგელმის ჯარისკაცების ცქერით კიდევ რაღაცას ელოდა და ნაცნობ-მეგობრებს წასჩურჩულებდა ხოლმე ხშირად:

— გამოდიან!.. გამოდიანო!..

* * *

სამ წელზე მეტი ინავარდეს საქართველოში სხვადასხვა ევროპის იმპერიალისტურმა ჯარებმა და სისხლისმწოველ წურბელებით გაივსო ტფილისის ქუჩები ევროპიდან ჩამოსული სხვადასხვა აგენტებით და ყველა ჯურის წარმომადგენლების სახით, რომლებიც აქ თავს უკეთ გრძნობდენ, ვიდრე თავიანთ ბურჟუაზიულ სამეფოში...

მენშევიკებმაც მიჰბაძეს ევროპას და შეჰქმნეს ჯარი, რომ თავად-აზნაურობისათვის დამცველობა გაეწიათ გლეხების და მუშების აჯანყების დროს.

სამუელსაც მოუწია ჯარში გაწვევის დრო და ისიც წაიყვანეს „სამშობლოს“ დასაცველად...

მისი ოცნება, რომ ის „დამოუკიდებლობის“ შემდეგ მოისვენებდა და არავინ შეაწუხებდა, ოცნებად-ღა დარჩა მხოლოდ...

გამოცხადდა იანვარში 1921 წელს ევროპიდან მიღებული დეპეშა, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოკავშირეებმა იურიდიულათ იცვნესო“...

სამუელი დარწმუნებული იყო, რომ მას და მის ამხანაგებსაც ამის შემდეგ არავითარი საფრთხე აღარ მოელოდა და ჩქარა სახლში დაბრუნდებოდა.

* * *

სამუელი ფოილოს ხიდთან იდგა ყვითელ ქეჩაში და თოფით ხელში, რომ ხმა გავარდა:—ბოლშევიკები მოდიან, რომ საქართველოს ტერიტორია იარაღით გასწმინდონ თავად-აზნაურებისა და მენშევიკების კონტრრევოლიუციისაგანო.

სამუელიც ფიქრებში იყო გართული, როდესაც მას 12 თებერვალს დილით ადრე ფოილოს ხიდის იქით მხარეს მოშორებით საშინელი თოფისა და ზარბაზნების ხმა მოესმა, რამაც მის გონებაშიაც ცვლილება მოახდინა და თავისებური დაღი დაასვა, თუმცა მას სულ მუდამ ჩასჩიჩინებდენ თავად-აზნაურობისაგან შემდგარი კონტრ-რევოლიუციონური ოფიცრობა, რომ ბოლშევიკები „მხეცებია“, „ბარბაროსებია“, „ჩვენი მტრებია“-ო, მაგრამ სამუელმა მაინც იგრძნო, რომ მას ურჩევნია ამ „ბარბაროსებთან“ და „მხეცებთან“ ყოფნა, ვიდრე მათთან, რომლებიც არა ნაკლებ ნიკოლოზის ოფიცრებისა, ძველებურად, უფრო სასტიკად ეპყრობიან ამ გლეხების შვილებს და მუშტებით კბილებს ამტვრევდენ, და მან გადასწყვიტა, რომ ამ დღიდან მაინც ბოლო მოეღება იმ მისთვის დღემდი საშიშ სიტყვას „**გამოდიან**“.

# თებერვლის დილა.

მთვარე ღამეზე გადაიარა;
მან დაივიწყა გუშინ რაც იყო
ცივი ქალაქის ზამთრის იარა.
მთა წმიდის გულით მზეზე გაიპო.
ლურჯმა სხივებმა ლიანდაგივით
ტფილისის ზურგზე გაიწოდინა
მაგარ მკლავებით ლეომ და გივიმ
ჩაკოცნეს ქარხნის მტკიცე როდინა.
კვამლის ნაოჭებს ცისფერი ნისლი
გადაეფინა ლამაზ ხალიჩათ
ამწვანდა სოფლათ ახალი ისლი
და აყვავილდა მწვანე ალუჩა...
და სოფლელები წელ-გატეხილი
ედება მკერდზე მზიურ სიშორეს
აჭარის მთების კოხტა გრეხილი
ყინვით დასერილ თვალებს ისწორებს...
მდინარე მღერის დღეს არა უშავს.—
ეშვება დაბლა ყინულის ტეხით;
ასწორებს ღვედებს ქალაქში მუშა
და სახნის ფერავს ღარიბი გლეხი...
ეს ხომ დილაა წითელ თებერვლის
და გაზაფხულის დღის სიახლოვე:—
გრძელ ღამეების ცივი სიზმრები
მიიწევს მზისკენ და სითბოს სთხოვენ...

**შალვა ჯანბერიძე.**

---

ის-ის იყო სამეული აპირებდა თოფის მომარჯვებას და იქითკენ წასვლას, საიდანაც წითელი ჯარი მოიწევდა სამუელების მსგავსი გლეხების გასანთავისუფლებლად, რომ ამ დროს მას მრისხანეთ შესძახა ოფიცერმა თავ. ხ--მა:

—ადგილიდან არ დაიძრა!

სამეული შეჩერდა, რომ ოფიცრის ყურადღება სხვა რამეზე მიეპყრო, შემდეგ მანაც ცოტათი ხმა-მაღალი კილოთი უპასუხა:

— ბატონო, გამოდიან! გამოდიან!

— ვინ გამოდის, შენ მამაძაღლო! განა შენც იმათი პარტიისა ხარ, ჰა! განა თქვენისანა გაუთლელებმა უნდა ეპატრონოს სახელმწიფოს? ვერ მოგართმევთ! ეხლავე საველე სასამართლოს გადაქცევ; განა შენც ბოლშევიკების მომხრე ხარ? მე შენ ჩემივე ხელით მოგიღებ ბოლოს,—და ოფიცერმა ხ—მა ხელი რევოლვერისაკენ წაიღო, რომ ამ დროს სამუელის ხელში აიმართა გატენილი თოფი, ოფიცერმა უკან დახევაც ვეღარ მოასწრო, თოფმა იგრიალა და ისიც მიწაზე დაეკა უსულოთ...

იქვე კარგა ბლომათ იყვენენ ჯარის-კაცები, მაგრამ ოფიცერს არავინ მათგანი არ მიშველებია და ისინი კარგა ხანს გაშეშებულნი მისჩერებოდენ ოფიცრის ჯერ კიდევ თბილ გვამს და სამუელს, რომელიც იარაღით ხელში მირბოდა იქითკენ, საიდანაც წითელი ჯარის წითელი დროშები მოსჩანდნენ...

აი ამ გზით გაიგო სამუელმა, თუ რას ნიშნავდა სიტყვა:

— **გამოდიან! გამოდიანო!**

ის დღეს სიამაყით უცქერის საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ამდვილ დამოუკიდებელ არსებობას და წყევლა-კრულვით იხსენიებს მენშევიკების ბატონობის ხანას.

**მუშა უშანგი ჯაში.**

# ბოლშევიკების შიში

(ჩემი დღიურიდან)

ჩვენ ორნი ვიყავით. ორივე თუთუნის ქარხნის მუშები. ჩემი ამხანაგი ავათ იყო. ექიმებმა მას ჰაერზე წასვლა ურჩიეს. მეც იმ დროს შვებულებაში ვიყავი და ორივემ ერთად გადავწყვიტეთ სადმე სოფელში წასვლა.

მაგრამ სად ან ვისთან უნდა გვეშოვნა ბინა, როდესაც არც მე და არც იმას, ნაცნობნათესავი არავინა გვყავდა.

თუ არ წავსულიყავით, ჩემს ამხანაგს უდროვოდ სიკვდილი ელოდა. მაინც შეუდექით მზადებას და მეორე დღეს დილის ექვს საათზე გავსწიეთ კახეთისაკენ. საღამოს ექვს საათზე კახეთის ერთ-ერთ სადგურში მივედით.

... ვაგონიდან გამოველით და იქვე სადგურზე გავჩერდით. ბარგი არაფერი არა გვქონდა გარდა თითო პატარა საბნისა და ერთიც პატარა ბალიში და თითოც გახუნებული ზამთრის პალტოსი.

— აბა, ახლა საით წავიდეთ, სადგურზე დარწმუნებული ვარ არ გაგვიშვებენ და მაშასადმე უნდა ბინა მოვძებნოთ სადმე.

— ბინას კი ვიშოვნით,—მიპასუხა ამხანაგმა,—მაგრამ რამდენს გადაგვახდევინებენ? საკითხავი აი ეს არის.

— რამდენიც უნდა გადაგვახდევინონ ჯერჯერობით ეგ მე არ მაშინებს, მე ერთი თვის ჯამაგირი თან წამომიღია და ამით შეიძლება ცოტა ხანს მაინც იოლათ წავიდეთ. საქმე ის არის, ამაღამ სად უნდა მოვთავსდეთ, თორემ ხვალ არ შეიძლება, რომ ვინმე ნაცნობი არ შემხვდეს, რომელიც ბინას გვიშოვის სადმე...

ამ დროს ჩვენ მოგვიახლოვდა ერთი ახალგაზრდა მილიციონერი, მაუზერით შეიარაღებული და ბრძანების კილოთი შეგვეკითხა:

— ვინა ხართ? და რას უდგიხართ აქა? განა არ იცით რომ სადგურზე დიდხანს გაჩერება არ შეიძლება?! ხედავთ უკვე დაბინდდა, უნდა წახვიდეთ აქედან. თუ არ გინდათ ამაღამ ბოსელში გაათენოთ.

— ჩვენ, მეგობარო, აქ არავის არ ვიცნობთ და თუ შეიძლება მიგვასწავლეთ სად არის ან ნომრები, ან ისეთი დუქანი, რომ ამაღამ თავი შევაფაროთ.

— ჰოო... საქმე ეგრეა?—სთქვა მან და ეშმაკურად გაიღიმა.—მაშ რაკი ხამები ხართ, გეტყობათ თქვენ გამოგზავნილები ხართ, ჩვენს მოწინააღმდეგე პარტიიდან, რომ აქაც თქვენებური ქსელი გააბათ გლეხებში და მთავრობის წინააღმდეგ ააჯანყოთ ისინი?!

— თქვენ სცდებით, ძმობლო, ახლა კი ხმა მაღლა უთხრა ჩემმა ამხანაგმა, ჩვენ, მართალია, გამოგზავნილები ვართ, მაგრამ, არა პარტიისაგან, არამედ ექიმების რჩევით, რადგან ავადა ვართ და დროებით ჰაერის გამოსაცვლელად მოვსულვართ, ამიტომ თუ შენში ცოტა რამ ადამიანობა დარჩენილა, მიგვისწავლე ისეთი ალაგი, რომ შევძლოთ ამაღამ იქ მოსვენება!..

— ალაგს კი გასწავლით, მაგრამ ახლავე გაფრთხილებთ, თუ აქ სხვა აზრით მოსულხართ, გუშინაც სამნი ეგრე ცდილობდენ ჩემს მოტყუებას, მაგრამ ვერ მოგხვდით; დღეს გომურში ჰყრიან და ხვალ კი თბილისისკენ გავამგზავრებთ!.. აგერ პირდაპირ, რომ დაბალი შენობა სჩანს, იმას გასცილდით და მეორე ქუჩაში, რომელ დუქანშიაც უნდა მიხვიდეთ ყველგან ბინას მოგცემენ. ეხლა შეგიძლიათ წახვიდეთ.

გავშორდით სადგურს. მივედით ნაჩვენებ ალაგას; ვიშოვეთ ოთახი და იქ დავბინავდით, ბინის პატრონი გლეხი, უნდა ვთქვათ, რომ ძლიერ პატიოსანი კაცი აღმოჩნდა. საკმარისად ხანში შესული იყო და როგორც გვითხრა კარგა ხანი თბილისში ყოფილა ერთ სირაჯთან მოჯამაგირეთ. აუხსენით ჩვენი სოფლად წამოსვლის მიზეზი და ჩვენი ვინაობა, შემდეგ პირობაზე მოველაპარაკეთ და ძალიან ადვილად მოვრიგდით. შუა ზაფხული იყო და ზაფხულში კი ყველამ იცის რომ სოფელი საამქვეყნო სამოთხეს წარმოადგენს; ამ დროს სოფლის ბუნება გამშვენიერებულია მოსავლის სიუხვით... ყანები მომკილი იყო, ზვრები და ბაღები სავსე და ხელშეუხებელი. დაღისტნის მთებიდან მონაბერი წმინდა ჰაერი კი ადამიანს სიცოცხლეს მატებდა. ჩვენი ჩასვლის დღიდან სამმა კვირამ გაიარა. ჩემს ამხანაგსაც დიდი ცვლილება დაეტყო, ხველა შეუმცირდა, ტკივილებსაც უფრო ნაკლებად გრძნობდა...

ერთ დღეს ნასადილევს მოგვიხდა გავლა იმ მხარეს, სადაც უფრო მრავლად იყო გაშენებული ბაღები. ერთ კარგად მოზრდილ ზვარის წინ გამოვიარეთ. იმდენად ლამაზი და მოხდენილი იყო მისი მდებარეობა, იმდენი ვაზი და კაკლის ხეები იყო, რომ ადამიანის თვალი უკეთეს ვერ ნახავდა, (განსაკუთრებით მუშები). თუმცა არ ვიცოდით ვის ეკუთვნოდა ეს კურთხეულ მუშის მარჯვენით დამუშავებული მამული, მაგრამ მაინც გავბედეთ ამ სანახაობის სიახლოვით დავმტკბარიყავით... დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ გატარებული ერთი საათი, იქაური ჰაერის ყნოსვა, ჩემს სნეულ ამხანაგს დიდ სარგებლობას მოუტანდა.

ჩვენს ბედზე კარიც ღია დაგვიხვდა, მაგრამ სულდგმული ადამიანი არა სჩანდა, რომ შესვლის ნება გვეთხოვნა. მიუხედავად ამისა ჩვენ თავისუფლად შევაღეთ კარი და შევედით. გავყევით ყურძნის ხეივანს და მივუახლოვდით ხშირ და დაბურულს კაკლის ხეებს და იქვე მოჩუხჩუხე წყაროს პირას ჩამოვსხედით.

გავხსენით პატარა პარკი, ამოვიღეთ პურის ნაჭერი და ოთხი ცალი კვერცხი. ვიდრე ამას გავფცქვნიდით, ხეივნის ბოლოში გამოჩნდა ერთი მაღალი, თავით ფეხამდის იარაღში ჩასხმული კაცი. არ ვიცოდით ეს ბაღის პატრონი იყო თუ მებაღე. მოგვიახლოვდა თუ არა თოფი გადმოიღო და დაგვიყვირა:

— ადგილიდან არ დაიძრათო.

ჩვენ გაოცებული დაუწყეთ მას ცქერა. არ ვიცოდით, თუ რა მოგვექცა ასე მხეცურად, როდესაც შეგვატყო, რომ ჩვენ მართლა ადგილიდან არ ვიძროდით, თოფი ძირს დაუშო, ჯიბიდან სასტვენი ამოიღო და ღონივრად ჩაბერა. მალე ასეთი ხმაც სხვა მხრიდან მოგვესმა და ჩქარა ორი გლეხიც გამოჩნდა თოხებით ხელში. მიუახლოვდა პირველი ერთ გლეხს, ყურში რაღა უთხრა და მალე გლეხმაც გაქუსლა სადღაც, შემდეგ მოგვიახლოვდა ჩვენ და ამაყათ გვკითხა:

— ვინა ხართ თქვენა.

— ადამიანები, ვუპასუხეთ ორივემ ერთად.

ადამიანები ხართ თუ ძაღლები, ეს ჩემთვის სულ ერთია, აქ რას აკეთებთ, რა უფლებით შემოხველით აქა, ვინ მოგცათ მაგის ნება?

— მართალია ძმაო, ჩვენ დაუკითხავათ შემოველით, რადგანაც აქ არავინ დაგვიხვდა, რომ ნებართვა აგველო, მით უმეტეს, რომ ჩვენ აქ ბოროტი განზრახვით არ შემოვსულვართ, ამიტომ ეხლა გთხოვთ, რომ ერთი-ორი საათით აქ დასვენების ნება მოგვცეთ, რადგანაც ამხანაგი ავათა მყავს და ამისათვის წმინდა ჰაერზე ყოფნა აუცილებელია, თქვენ კი ამით არა დაგაკლდებათ რა.

— როგორ... სავსე ბაღში, სხვის მამულში საქურდლად შემოხველით და კიდევ იძახით არაფერი დაგაკლდებათო?!

— მეგობარო, ჩვენ რომ მაგ აზრით შემოვსულიყავით აქა, მგონია თან უნდა გვქონდეს ან ტომარი ან ხურჯინი. მაგრამ როგორც ხედავთ არაფერი არა გვაქვს, მაშასადამე, წაღებაც არ შეგვიძლია არაფრისა.

— დამნაშავე ხარ თუ არა, აგერ მამულის პატრონი და მილიციონერიც აქ მოდიან და თუ შეგიძლიანთ თავი იმათთან გაიმართლეთ, თქვენ დატუსაღებულნი ხართ.

ამ დროს გამოჩნდა ზემო ხეივანიდან ერთი მაღალი ტანის თავადი, ჰაღარა შერეული, ქართული კაბით და ქამარ-ხანჯლით გამოწყობილი. მოსვლის უმალვე ხანჯალზე ხელი დაიდო და მაღალის ხმით შესძახა მოურავს:

— ესენი არიან!?

— დიახ, ბატონო,—უპასუხა მოურავმა და მდაბლად თავი დაუკრა.

— ჰაი, თქვე ღორებო, თქვენა; როგორ გაბედეთ ჩემს მამულში საქურდლად შემოსვლა?!

— დაწყნარდით ბატონო. ტყვილა უბრალოდ ნუ გვლანძღავთ. ჩვენ არაფერში დამნაშავე არა ვართ. ჯერ საქმე გაიგეთ და მერე გვლანძღე თუ ღირსი ვიყოთ ლანძღვისა!

— როგორ... თავსაც იმართლებთ თქვე ავაზაკებო?! მერე იმ დროს, როდესაც დანაშაულობის ალაგზე დაგიჭირეთ.

— მაშ რომელი ქურდი იტყვის, რომ მე ქურდი ვარო, ჩაერია მილიციონერი ლაპარაკში და ორივეს დაგვაშტერდა თითქო ნაცნობათ ვეჩვენეთ იმას.

ჩვენ ვიცანით რომ ის, ის,—მილიციონერი იყო,რომელმაც სადგურიდან ბინა მიგვასწავლა!

— მართალია არც ერთი არ იტყვის თავის ქურდობას, მაგრამ მე გეუბნებით, რომ ჩვენ არაფერი მოგვიპარავს თქვენთვის და რომ ასეთი რამ ყოფილიყო ან ჯიბეში უნდა გვქონდეს და ან ხურჯინში. ჩვენ არც ერთი გვაქვს და არც მეორე.

— თუ თვალით არა სჩანს, აზრათ ხომ გქონდათ. იქნება კიდეც ნაპარავი სხვა ამხანაგებს გაატანეთ. სულ ერთი არ არის!

— ჩვენ ამხანაგები არა გვყავს და არც არაფერი მოგვიპარავს თქვენთვის, და თუ მოგპარეთ ეს ისეთი რამ იყო, რომ არც თქვენს და არც ჩვენს საკუთრებას არ შეადგენს. ყველას ნება აქვს ისარგებლოს იმითი, რაშიაც არც ერთი ადამიანის შრომა არ ურევია და მაშასადამე ვერაინ დაისაკუთრებს იმას, ეს არის წმინდა ჰაერი, რომლისთვისაც ჩვენ აქ შემოველით.

თქვენ შეგეძლოთ ჰაერით, კარშიაც გესარგებლათ და არა სხვის მამულში შესულიყავით.

— თქვენ ცდებით, თქვენ საკუთრებას არაფერი არ შეადგენს, რადგან თქვენ არავითარი შრომა არ მიგიძღვით ამის დამუშავებაში.

— ჰოო... წამოიძახა თავადმა და მილიციონერს გადახედა, აი, თუ ვინა ბძანებულხარო თქვენ?! თუმცა ქურდები არა ხართ, მაგრამ ქურდზე უარესი კი ყოფილხარ, თქვენ ბალშევიკები ხართ. მაშ, ეხლა კი სულ სხვანაირად მოგექცევით. ქურდები რომ ყოფილიყავით კიდევ შეიძლებოდა თქვენი პატიება, მაგრამ, რადგან მაგნაირი ფრინველები ბძანდებით, თქვენთვის შესაფერი გალიაც არის მომზადებული!..

— აბა მე მივდივარ,— უთხრა მან მილიციონერს. ეხლავე წამოიყვა კომისართან. თავადმა წასვლა დააპირა, მაგრამ გლეხმა, რომელიც აქამდის გაჩუმებული იდგა უცებ გამოედაობა გამოიჩინა ღს მიმართა თავადს.

— კნიაზო, მოდი გული მოიბრუნე და ნუ დაღუპავთ ამ ორ ადამიანს, როგორც ხედამთ არაფერი დანაშაული არა აქვთ, და თქვენ რა ხეირს ნახამთ, რომ ეს ავადმყოფი ხალხი ტყვილათ დასტანჯოთ?

— ჰოდა, მართალს ამბობს კნიაზო. მეცა და ივანეც გთხოვთ რომ აპატიოთ, დაუმატა მეორე გლეხმა.

— როგორ... წამოიყვირა განრისხებულმა თავადმა, თქვენც ამათი ამხანაგები ხართ; თქვენც ბალშევიკები • გახდით? მე თქვენ გაჩვენებთ ვისთან გაქვთ საქმე! მოურავო დღესვე ანგარიში გაუსწორე და ხვალიდანვე ფეხი არ შემოადგმევინო ბაღში; ხედამთ ესენიც ბუნტოვჩიკები გამოვიდენ და ხვალიდან ბატონობასაც მოინდომებენ სოფელში, შენ კი, მიუბრუნდა მილიციონერს უსათუოდ წამოასხი კანცელარიაში. მერე გაბრუნდა და საჩქაროდ გავიდა ბაღიდან...

— აბა წამოდით, რაკი „კნიაზმა“ ბძანა, იმის სიტყვას ვერ გავტეხამ, მეც ცხოვრება მინდა.

— შენ ცხოვრებას ვინ გართმევს ძმაო,— უპასუხა გლეხმა. „კნიაზი“ ცოტა ანჩხლი კაცია, ცოტა ხნის უკან დამშვიდდება და ყველაფერი დაავიწყდება. შენ კი ტყვილად უნდა აწვალო ეს ხალხი. შენ წადი შენ გზაზე და თუ ამისათვის მოგვიდეს რამე, პასუხს ჩვენ მივცემთ კამისარს, ამათი თავდები ჩვენ ვიქნებით.

— კარგს იძახი, მაგრამ რაღა პასუხი უნდა მისცეთ მაშინ, როცა მე სამსახურიდან დამითხოვენ... ხომ იცით რომ ჩვენი უფროსი კამისარი ამ კნიაზის ძმის შვილია და რასაც უბძანებს იმას ასრულებს.

— ეგ მართალია და ამიტომაც ისრე მაგრა მოიკიდა ფეხი იმ ალაგას, მთელი სოფელი გაბეზრებულია იმისაგან, ქრთამებით და ტყვილ უბრალო შტრაფებით, სული ამოგვართო და ჩვენი პატრონი კი არავინ არა სჩანს, განა გლეხის გაჩენაში ღმერთი ურევია!..

— შენ, ივანე ცოტა ენა დაიმოკლე, თორემ კარგი საქმე არ მოგივა თავზე,— ჩაერია მოურავი, შენ ბევრი რომ იცოდე, ცოტა უნდა ილაპარაკო, თორემ მერმე თითზე კბენა არას გიშველის. შენ ამათ ლაპარაკს ყურს ნუ უგდებ,— უთხრა მილიციონერს,— როგორც გიბძანეს ისე მოიქეცი. თუ სიმართლე აქვთ იქიდანაც გაუშვებენ. თქვენ ივანე კარგი ბიჭები ხართ და იმიტომ მენანება თქვენი გაშვება, მიდით როგორმე კნიაზთან, ბოდიში მოითხოვეთ და იქნება გაპატიოთ და არ გამასტუმრებინოს თქვენი თავი...

— ღმერთმა შეარცხვინოს ისაც და იმასთან ბოდიშის მომთხოვნიც, მე ვმუშაობ იმისათვის, ის ხომ არ მუშაობს ჩემთვის, ეხლაც რომ თავს ვიცხელებ მაგის მამულში მუშაობით ისაც იმის ძმის შვილის შიშით, თორემ რა გამჭივრებია. ჩემი მამულიც მეყოფა... თქვენ იცით.

— მე კი გირჩევთ და ეხლა, როგორც გინდათ ისე მოიქეცით,— მოურავმა თოფი გადიგდო მხარზე და გასწი ხეივნისაკენ.

მუშა ა. ბაჯიაშვილი.

(დასასრული იქნება)

# ამათ ლუდინი

(მოთხრობა)

ტფილისი კარგა ძველი ქალაქია— გადაუტანია მრავალი უბედურება, მრავალი ომები, მაგრამ მისი სიცოცხლის ძარღვი მაინც ახალგაზრდულათ სცემს. მშვენიერი უბანია მთაწმიდა, საიდანაც მთელი ქალაქი მოსჩანს. კლდოვანი გაფხეკილი მთა თავს დასტრიალებს და ძალიან ხშირად გაზაფხულობით, წვიმიან ავდარში ღორღით და ქვებით ავსებს ეზოებს. სილამაზით კი მაინც ლამაზია, თითქმის ყოველ ეზოში ხეხილებია მწვანე და ჰაერიც დამტკბარია აკაციის სურნელებით. ქუჩები მიხვეულ მიხვეულია, შენობები-კი ძველი, ხის და არის ან ერთ ან ორ სართულიანი.

აქ, ამ უბანში სცხოვრობდა ლევან ჯისკარიანი, აქ დაბადებული და აქვე აღზრდილი. სახლები მისი საკუთარია და ძლიერ ხშირად უამაყნია მას ასეთ სიმდიდრით, უამაყნია საკუთარი სახლებით...

და მაშინ, როდესაც თებერვლის რევოლიუციამ შეატრიალა ცხოვრება, იგი ფიქრობდა სახლების გაყიდვას, მაგრამ არ აასრულა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცოლმა დაუშალა და მეორეც რაღაცის მოლოდინში იყო, თითქოს ხსნას ელოდებოდა.

მაგრამ ეს იყო ლევანის ძველი ფიქრები. მოხდა რევოლიუცია, იყო „თავისუფლება“. სახლები მაინც შემოსავალს იძლეოდა, თითქოს კმაყოფილი იყო თავისი ბედის და მაინც და მაინც რევოლიუციასაც არ უწყრებოდა. ნებივრობდა თავის ოჯახობით და მხოლოდ ერთხელ გაუარა ტანში ჟრუანტელმა და ეს იყო ოქტომბერში რუსეთის გასაბჭოების გამო..

ტფილისში კი ბოლშევიკების ხსენებაც არ იყო და ჩვეულებრივი ბედნიერებით განაგრძობდა ცხოვრებას, ყველაფრით სავსე, ამაყი სახლის პატრონი...

მაგრამ საქართველოშიც დადგა ახალი თებერვალი, მოხდა ახალი რევოლიუცია, და ლევანმაც მეორედ, უფრო ძლიერი ჟრუანტელი იგრძნო ტანში... რადგან შეირყა მისი მდგომარეობა, შეიცვალა მისი ცხოვრება...

ეხლა, ამ უბანში ბევრი ფიქრობს, რომ გაჭირვება და სიძვირე ბოლშევიკების ბრალია, ბევრია ისეთი ოჯახიც, სადაც დედაკაცები და ბებრები პოლიტიკაზე ლაპარაკობენ, რომელთაც უკვირთ, რომ წელიწადები გადის და ბოლშევიკები კი მაინც არ გარბიან...

***

ლევანის ოჯახი შუა ღამის ძილშია, მაგრამ თვითონ მას კი ალბათ მოუსვენრად ეძინა, რომ ადრიანად დააჭყიტა თვალები. ნიფხავპერანგით წამოდგა, გაზეთის ქაღალდში გახვია თამბაქო და კვამლის კვირტებს ააყოლა თვალები. ბურანში გაეხვია და ფიქრობს, რომ იგი ჯერ კიდევ მოხუცი არ არის, რომ თმაში თეთრი მხოლოდ ოდნავ აქვს გარეული. ოთახი კვამლით ივსება და ლევანი თავის და უნებურად სანათს აბრუნებს. ხმაურზე იღვიძებს ცოლი და გაანჩხლებული ეჩხუბება ქმარს.

— რა უბედურეებაა, შუაღამისას მოსვენებას არ გვაძლევ!.. ხომ იცი რომ ერთი ოთახი გვაქვს, შენ კი თამბაქოს ბოლით ახრჩოლებ აქაურობას.

ლევანი, რომელიც აღშფოთებულია მოულოდნელი მარცხით, მწუხარედ ეუბნება:

— აბა რათ ჯავრობ ჩემო სულიკო!.. მე ეს სულ ჩემდა უნებურად.

და მიდის ღუმელთან. უფხაკუნებს შეშას, რომ ცეცხლი გააჩაღოს. თენდება, მთელი ოჯახი ფეხზე დგება. უფროსი ქალი, რომელსაც ჰქვია შარო და რომელიც უკვე გასათხოვარია, დედას რაღაცას ყურში წასჩურჩულებს...

— რასაკვირველია უნდა გიყიდოს. მამაშენი მოვალეა ისე ჩაგაცვას, როგორც შეგეფერება. უპასუხებს დედა და უპასუხებს ისე, რომ ქმარმაც გაიგოს.

— მე კაპიკი ფული არა მაქვს... მე არაფრის ყიდვა არ შემიძლიან. გადაწყვეტით ამ-

ბობს ლევანი და თან თვალებში უცქერის მარო. ბოლოს მოულოდნელად და ალერსიანად ეკითხება:

— შენ ახალი კაბა გინდა?..

— ხოო მამა.

— აი, თუ მდგმურები სახლის ქირას მომცემენ, კაბას გიყიდი...

და უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ მარო მირბის მდგმურებთან ქირის გამოსართმევათ.

ისინი კი უარით ისტუმრებენ...

— როგორ თუ არ იძლევიან, რა უფლება აქვთ. ჩემი აშენებული არ არის?

ყვირის ლევანი და თან ლანძღავს მდგმურებს..

— არ მოგცემთ, არა... გაჰკივიან მდგმურები, ჩვენ საეტსკები ვართ, ქირას არ გადავიხდით.

მარო კი ბალიშებში, სატირლად ჩავარდა. ლევანმა თამბაქოს მოწევით გული დაიმშვიდა. მისი ცოლი საწოლში ჩაწვა, თავი ავადმყოფად წარმოიდგინა.

— ესეც ახალი უბედურება... ფიქრობს ლევანი. ხელში გაზეთი უჭირავს და კითხულობს:

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

არჩენს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას

ოლღას ქ. № 35.

— ეს პირდაპირ უბედურებაა, მაშინ როდესაც ექიმი ყველას მუქთად მოსდის, მე ფულით უნდა მოვიწვიო!.. ბრაზმორეული გაზეთს დასჭმუტნის და გაიძახის:

— განა მე მოქალაქე არა ვარ?.. განა მე საეტსკებს არ ვემსახურები?..

მიუხედავათ ამისა ექიმი მაინც მოჰყავს; ოთახში კი, როგორც ყოველთვის შედის საღამოს სილურჯე, მარო ფანჯრებზე ფარდებს უშვებს და ვრცელდება სანათის თეთრ ყვითელი შუქი. ექიმი გულმოდგინეთ სინჯავს ავადმყოფს და გამოარკვია, რომ მას არაფერი არა სტკივა. ლევანი ხელს ართმევს და ეუბნება:

— ერთად მოგართმევთ...

— ავადმყოფი იმდენად კარგათ არის, რომ მეორეთ აღარ მოვალ...

— ხვალ ქალის ხელით გამოგიგზავნით...

— კი მაგრამ... და ექიმი იმდენად მორცხვია, რომ ხელში არაფერი არ იგრძნო, მაგრამ მაინც წავიდა... ლევანი კი გაბრაზდა, ძალიან გაბრაზდა, ასეთ უფულობაში განგებ ავად ხდებიან.. ოთახში ნერვიულად დადის და ცოლს ეჩხუბა...

მარო დედას ესარჩლება, იმიტომ რომ ორივენი ქალები არიან და ავადმყოფობაც ერთნაირი აქვთ. ბრაზმორეულმა ისევ გაზეთს მოჰკიდა ხელი და კითხულობს ბინების შესახებ გამოსულ დეკრეტს... კითხულობს ციფრებს და სიხარულით წამოიძახებს:

— დეკრეტის ძალით ქირა უნდა გადაიხადონ. თვალწინ უდევს ცხრილი, მაგრამ ვერაფერი ვერ გაუგია. თავისი ქალი გვერდით მოისვა. ყოველი მდგმურის ქირა ცალცალკე გამოიანგარიშეს. საღამოთი უკვე კანონის ძალით დაუარა ყველას და გამოუცხადა ქირის რაოდენობა.

— ჩემი ქმარი შინ არ არის.. უპასუხებს ერთი მდგმური.

— სამუშაოდან ჯერ არ მოსულა?..

— არა, იმიტომ რომ იქედან ყრილობას უნდა დაესწროს..

— ყრილობას?.. თითქოს გაკვირვებით შეეკითხა ლევანი, გულში კი ფიქრობს, მუშა და ყრილობაზეც მიწვეულია.. რა დრო დადგა?!.. მე კი... მაგრამ...

— რა გაეწყობა.. და უკან ბრუნდება. მაგრამ ჯერ არც კი გათენებულა, რომ უკვე ფანჯარაში უკაკუნებდა.

— მობრძანდით. იხმობს თავისთან მუშა— მდგმური და სთხოვს დაბრძანდეს. ოთახი სუფთად მოწყობილია. კედლებზე რევოლიუციის ბელადების სურათებია. მაგიდაზე ძვეს მისთვის გამზადებული დილის საუზმე და სადილის ფული. მეორე ოთახში, საწოლში მწოლარე ბავში დედას ეთამაშება და ნებივრობს მის ალერსით.. უცბათ მხიარული ხმით შემოვარდება და მამის ფეხს შემოეხვევა...

— მამა, მამა, იცი, ლოცა მოქვიდე თან წითელი კაკა მომიტანე.

კალგიი მამა?. მომიტან?.. ეკითხებოდა ტკბილი ბავშური ხმით და თანაც ელოდა მამას მისკენ მოეხედა.

— გიყიდი, შვილო, გიყიდი. დაჰპირდა მამა და ბავშვი დედასთან გაისტუმრა; შემდეგ ისევ სახლი პატრონს მიმართა.

— რაც გერგებათ მოგართმევთ. ერთხელ კიდევ ეუბნება ოთახიდან გასულს ლევანს და თავაზიანად შორდება. სასწრაფოდ ისაუზმა და ქარხანისკენ გაეშურა. სიმხნით სავსე შეუდგა ჩვეულებრივ მუშაობას. სახლში კი ელოდებოდა ცოლი სადილათ, ბავშვი კი წითელ კაბას... მოახლოვდა საღამო. ბავშვი ფანჯრის შინებს ორთქლავს და სწერავს:

„მე დღეს მამა მიკიდის წითელ კაბას“.

და მართლაც ფანჯრიდანვე დაინახა მამის ხელში ქაღალდში შეხვეული საკაბე. ეზოში ლევანმა შეაჩერა და სახლის ქირა გამოართვა. ძალიან გაუკვირდა ბავშვს, რომ დაპირებული აუსრულა. იმავე წუთში გონებაში გაივლო თავის დაპირებული, მაგრამ ქირა რომ უმნიშვნელო იყო მუშტები მოიღერა და მწარედ ამოიოხრა...

* * *

1924 წელია. წრეულს ძლიერ ცივი ზამთარი დადგა. ტფილისს არ უნახავს ასეთი ყინვა ოცი წლის განმავლობაში. ქუჩები დათოვლილია და ზედ ეტლების ნაცვლად დასრიალებენ უჩვეულო ციგები. ცა თეთრად ჩამობურულია. ცივა და ხალხი სუნთქვის დროს აორთქლებს თეთრად. მეურმეებს უხარიათ ბუნების იშვიათობა, უხარიათ შეშის სიძვირე... ლევან ჯისკარიანს გაუჭირდა ცხოვრება. სახლი შემოსავალს არ იძლევა, არც სამსახური აქვს. უკვირს რომ მისი მდგმური კარგადა სცხოვრობს, თითქმის არაფერი არ აკლია. ფიქრობს: ნეტავი ბოლშევიკები არ მოსულიყვნენ. ეს ყველაფერი მათი ბრალია.. მე უნდა მიეჭირდეს და მას კი არაფერი არ აკლდეს?..

მაგრამ ამ დროს ცოლი გვერდში მუჯლუგუნს წაჰკრავს...

— ადექი ქა, გაინძერი, სამუშაო იშოვე, ან ეს ოხერი სახლები გაყიდე.

— ვის რათ უნდა ეს სახლები, ან და რა გეჩქარება ცოტაც დაიცადე და ყველაფერი გამობრუნდება.. გულშიც სჯეროდა რომ უსათუოდ უნდა შეცვლილიყო მდგომარეობა. ამიტომაც სახლებს არ ყიდის. ამ მწარე მოლოდინში მართლაც გაუჭირდა ცხოვრება, რაც ძველი ჰქონდა სულ შეჭამა; სამუშაოს ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერსად ვერ იშოვა. როგორღაც შრომის ბირჟაში ჩაეწერა, მაგრამ იქედანაც მალე გამორიცხეს. ვიღაცამ დააბეზღა, რომ საკუთარი სახლები აქვს და რომ არასოდეს საკუთარი შრომით არ უცხოვრია...

ერთხელ ვიღაც დალალი შეეგაჭრა სახლებზე, სულ უხეირო ფასს აძლევთა, მაგრამ არ გაყიდა, მაინც ვერ შორდებოდა თავის ნაამაგარს.

მარომ საქმრო იშოვნა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ვაჟს უმზითვოთ არ მიყავდა. მას კი სახლების მეტი არა გააჩნდა რა. დედა თანახმა იყო სახლების მზითვათ მიცემის, მაგრამ მამა—სასტიკი წინააღმდეგი.

თითქმის ყოველ დილა ეჩხუბებოდა ცოლი ქმარს, რომ გაეტანებია სახლები მზითვათ და მართლაც დაუმტკიცა იგი სიძეს, თავის საყვარელ ქალის ქმარს. მარო გაბედნიერდა. გათხოვდა. მეტადრე ეხლა გათხოვება ძლიერ ძნელია, მან კი ეს მოახერხა. მაგრამ იმ ვაჟს თურმე ჰყოლია ნამდვილი ცოლი, რის გამოც მარო სრულიად კანონიერად გაყრილი ქმრისაგან თავის მამას ეტლით დაუბრუნდა. სახლები კი ქმრის სახელზე დამტკიცებული მასვე დარჩა. ლევანი სიბრაზისგან თითებს იკვნეტდა და არც ერთი ნატარიუსი არ დარჩენია, ყველას ეხვეწებოდა დახმარებოდენ. ამ სირბილში გაცივდა და ავად გახდა. ცალკე სიბრაზეც ახრჩობდა. ავადმყოფობა უძლიერდებოდა, მაგრამ სახლებზე ფიქრი მაინც არ ასვენებდა. კვდებოდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ სახლებს უკან დაიბრუნებს, რომ ბოლშევიკები წავლენ აქედან, რომ თებერვლის რევოლიუცია სჯობდა ოქტომბრისას, და რომ მას კვლავ დაუარუნდება ძველი დრო...

ფიქრობდა, ფიქრობდა და მოკვდა... მოკვდა სწორეთ თებერვალში. ეხლა კი მის საფლავის ქვაზე ამოჭრილია ასეთი წარწერა:

ლევან

ჯისკარიანი

გარდაიცვალა ლოდინით თებერვალში, თებერვლის გამო.

1875—1925 წ.

ე. პოლუმორდვინოვი.

# ნაძალადევის არწივნი*)

მოთხრობა

(ვუძღვნი ნაძალადევის მუშებს)

## VI. სასიკვდილოდ განწირულნი

სასტიკი ბრძანების ამბავი კვარტალის დანგრევის შესახებ მალე მთელს არე-მარეს მოეფინა.

ყველა გულის ფანცქალით ელოდა ამ საშინელ ამბავს.

ნახევარი საათიც და საშინელი დრამა დატრიალდება თბილისის შუაგულში — ზარბაზნები დაანგრევენ ასამდე სახლს, რომელთა ნანგრევებ ქვეშ მოჰყვება ათასი ადამიანი და მათი წივილ-კივილ-ღრიალი დააყრუებს მთელ ქალაქს... დანგრეული სახლების კორიანტელი ზეცას აუწევს.

დასანგრევად დამზადებულ სახლებიდან გარედ გამოსვლის ნებას არავის აძლევენ.

განწირულნი სხედან თავიანთ სახლებში და სიკვდილს ელიან ქალი, კაცი, მოხუცი ბავშვნი...

თხუთმეტი წუთი დარჩა...

თხუთმეტი წუთის შემდეგ კი ჯოჯოხეთად იქცევა ქალაქის მშვენიერი ნაწილი, ქალაქის გული...

## VII. ერთისთვის ათასი.

არსენა ჯორჯიაშვილი თავის ამხანაგებით ძლიერულად არის. უხარიანთ, რომ თავიანთი გეგმა სისრულეში მოიყვანეს და თითონაც ასე ადვილად გადარჩენა. გენერალი გრიაზნოვი აღარ არის...

საშინელი ამბავი კი ელვის სისწრაფით დარბის ქალაქში: ქუჩიდან ქუჩაში, უბნიდან უბანში, სახლიდან სახლში გადარბის.

მოირბინა არსენასთანაც და მთელი თავისი საშინელებით გამოიჭიმა მის წინაშე.

— ერთისთვის ათასი! — წამოიძახა გაფითრებულმა არსენამ.

— რას იზამ, უმსხვერპლოდ რევოლიუცია არ იქნება.

— მერე, ასეთი ზღაპრული მსხვერპლი?!. ეს ყოვლად შეუძლებელია!..

— შეუძლებელია, მაგრამ რას ვუშველით, სულ ათიოდე წუთი ღა დარჩა' — ეუბნება ერთი ამხანაგი.

— ათი წუთი საკმარისია, რომ გადავარჩინოთ უბრალო-უდანაშაულო ხალხი ზარბაზნებით ამოწყვეტას!..

— როგორ?!

— წავალ, წარვუდგები ჯალათებს და ვეტყვი, რომ ბომბა მე ვისროლე...

— არ შეიძლება, არსენ!

— დაიღუპები? — ეუბნებიან ამხანაგები.

— ერთი დამნაშავის დაღუპვა არ სჯობია ათასი უდანაშაულო ადამიანების დაღუპვას?!

სდუმდენ ამხანაგები.

არსენა მისჩერებია მათ, პასუხს ელის. მის ფოლადის გულს ბაგა-ბუგი გააქვს.

— არსენ, შენ დამნაშავე კი არ ხარ, არამედ გმირი ხარ; შენ შენი მოვალეობა შეასრულე და, რას დაეძებ, თუ რა მოხდება ამას იქით... შენი ბრალი არ იქნება...

— განა ის კი ჩემი მოვალეობა არ არის, რომ დავიხსნა სიკვდილის ათასამდე უდანაშაულო ბავშვი და ქალი!? არა, ამხანაგებო, ჩემი პირდაპირი მოვალეობაა ვუშველო მათ, ვისაც ჩემი მიზეზით ათი წუთის შემდეგ ზარბაზნებით ამოწყვეტას უქადიან! იძახით გმირი ხარო, განა შეიძლება, რომ გმირის მიზეზით უდანაშაულო კაცს ჰკლავდენ და გმირი კი გულგრილად უყურებდეს ამას! გმირი ასე არ მოიქცევა არასოდეს!.. მშვიდობით ამხანაგებო, ძმური სალამი გადაეცით ყველა ამხანაგებს. მე წავალ სამსხვერპლოზე ჩემი მოვალეობის მოსახდელად; — სთქვა არსენამ და გაშორდა ამხანაგებს.

— ბიჭო არსენ! შენს ოჯახს რაღას უშვრები? დაგავიწყდა მოხუცი დედ მამა, დაი?! — დაუძახა ერთმა ამხანაგმა.

დედ-მამის გახსენებაზე არსენა ერთ წამს შესდგა, თმაზე იტაცა ხელი, დაფიქრდა.

— ჩემს დედ-მამას, ჩემს ოჯახს თქვენ გაბარებთ! — დაუძახა ამხანაგებს და შურდულივით გაექანა ბარიათინის ქუჩისაკენ.

## VIII. ლინჩის სამართალი.

უბედურ კვარტალს ხუთი წუთი სიცოცხლე კიდევ დარჩა, მერე კი მშვიდობით!.. სულ ერთმანეთში აირევა ხე-ტყე, ქვა, აგური, ადამიანები...

ზარბაზნის ლულები უკვე მიუშვირეს კვარტალს...

გაისმა საზარელი წივილ-კივილი ბედშავ კვარტალში შემწყვდეულ სასიკვდილოდ განწირულთა.

ამაოდ შესთხოვენ ღმერთს შველას...

ვინ იხსნის ამდენ ხალხს საშინელი სიკვდილისაგან?..

ჯარის უფროსმა საათს დახედა.

— ორი წუთიღა დარჩა...

ცოცხალი აღყა შეინძრა. მოემზადა...

სასიკვდილოდ განწირულთ წივილ-კივილს უმატეს...

— ღმერთო, ღმერთო!! ღმერთო!!! — იძახიან ისინი.

მაგრამ ღმერთი ყურსაც არ იბერტყს, მათთვის არ სცალიან.

ერთი წუთიც...

და ჯარის უფროსის წინ, თითქო მიწიდან ამოძვრაო, გაჩნდა ახალგაზრდა მუშა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა ჯარის უფროსმა.

— მე ის ვარ, ვისაც თქვენ ეძებთ; მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი, ბომბის გამსროლი.

ეს საკმარისი იყო.

მოხდა ლინჩის გასამართლება...

წააქციეს არსენა და დაუწყეს საშინელი ცემა. სცემდა ყველა — ღენერალი, ოფიცერი. პოლიციელი, ყაზახი...

სცემდენ რითაც მოხვდებოდათ — ხელით, ფეხით, ჯოხით, ქვით...

სცემდენ თავში, პირში, გულში, გვერდებში...

სცემდენ გმირს ლაჩარნი, მხდალნი...

თავგანწირული გმირი კი უძრავად ეგდო ქუჩის ქვებზე თავპირ დასისხლიანებული...

ღენერალმა დახედა ოდნავ მეეთქვე გმირის გვამს, კმაყოფილებით გაიღიმა, ერთი მაგარი წიხლი კიდევ ჩასცხო გულში და უბრძანა ცოხის საავადმყოფოში წაეღოთ.

## IX. სიკვდილს გადარჩენილნი.

დასანგრევად გამზადებულ კვარტალს აღყა მოხსნეს, სასროლად გამზადებული ზარბაზნები შორს გაახრიგინეს და სასიკვდილოდ განწირულთაც თავისუფლად ამოისუნთქეს; თვალიდან სიხარულის ცრემლი ჩამოსდით, ერთმანეთს ულოცავენ სასწაულებრ გადარჩენას და ერთი-მეორეს შესცქეროდენ, თითქო არ სჯერათ, რომ სიკვდილს გადარჩენ.

შეშინებული ხალხი ნელ-ნელა გამოიხვეტა გარეთ და ერთმანეთს ეკითხება, თუ რა მოხდა.

— ამბობენ, ვიღაც მოკლესო, მართალია? — ეკითხება ერთი მეორეს.

— მართალია, — უპასუხა მეორემ.

— ვინ მოკლეს? — არ სცხრება ცნობის მოყვარე პირველი.

— ძაღლი, მამაძაღლი, მკვდარძაღლი და პირძაღლი! — ჩუმად ეუბნება მეორე.

— ბიჭოს! ამბობენ ერთი მოკლესო და შენ კი ბარემ ხუთი ჩამოთვალე — ძაღლი, მამაძაღლი, მკვდარძაღლი, პირძაღლი...

— ყველა ეგ ერთია — ღენერალი გრიაზნოვი.

— ჰოო, ეხლა კი მივხვდი...

ხალხი თანდათან ემატება ქუჩას, მაგრამ დასანგრევ ადგილს, ბარიათინის ქუჩას, ახლო ვერ ეკარებიან, როგორც სახიფათო ადგილს, შიშობენ... შორიდან ყელყელაობენ და ცდილობენ დაინახონ რამე.

— ძია, რა ამბავია? — ეკითხება ყმაწვილი გემნაზიელი ერთ ხნიერ ვაჭარს, რომელიც მამადავითის ქუჩის კუთხეში დგას და დანგრევას გადარჩენილ დრამატიულ თეატრს შეჰყურებს.

— რა მოხდა ძია? — კვლავ ეკითხება გემნაზიელი.

— არ ვიცი, ჩემი სიყმის მზემ, — უკმაყოფილოდ მიუგო ვაჭარმა.

— ამბობენ ღენერალი მოკლესო, მართალია?

— არ ვიცი, ჩემი ლამაზი კეკელას სული არ წამიწყდება!

— მომკვლელი დაიჭირეს?

— ვა, ხათაა! ახარ, არ ვიცი-მეთქი გეუბნები, ხელი აიღე რაღა! გინდა მალაპარაკო და მერე ხათა, ემე გამოვიდეს! — გაჯავრებული უთხრა ფრთხილმა ვაჭარმა და სამი ნაბი-

*) დასასრული, იხ. „ჩირაღდანი“ № 3 (26).

ჯით მოსცილდა ცნობის მოყვარე გემნაზიელს:

—გიჟია შუდრეგი!—წაიბუტბუტა თავისთვის, როდესაც დაშორდა გემნაზიელს.

## X. ჯალათების სასამართლოში.

თავგანწირული გმირი არსენა წევს ციხის საავადმყოფოში.

სწამლობენ, არჩენენ, რომ მერე გაასამართლონ...

მისი მშობლები ცხარედ სტირიან.

იგლოვენ ჯერ ისევ ცოცხალს, მაგრამ უსათუოდ დაღუპულ შვილს...

მწარედ დაღონდენ მისი ამხანაგებიც.

მებრძოლთ რიგებში აღარ ჰყავთ სამაგალითო გმირი, რევოლიუციისათვის თავდადებული არსენა...

დაღონებულნი ბჭობენ, თუ როგორ უშველონ თავის განწირულ ამხანაგს. მაგრამ რას უშველიან, მგლის ხროვას კრავი ჩავარდა ხელში და შეჭმას უპირებენ...

მთელი ქალაქი ლაპარაკობს არსენას შესახებ. ყველა განცვიფრებულია მისი საოცარი გმირობით და თავგანწირვით. დიდსა და პატარას ყველას პირზე აკერია გმირი არსენას სახელი.

რამდენიმე ხნის შემდეგ განკურნებული არსენა წარუდგინეს ჯალათების მოსამართლეს.

— შენ მოკალი გენერალი გრიაზნოვი?— ჰკითხება მოსამართლე.

— დიახ, მე მოვკალი,—თამამად უპასუხებს არსენა.

— რა მიზეზით?

— იმ მიზეზით, რომ ის რევოლიუციის მტერი იყო და მე კი რევოლიუციონერი ვარ!

— იცი, რა მოგელის ასეთი დანაშაულისათვის?

— რაც უნდა მომელოდეს, ჩემთვის სულ ერთია, მე მზადა ვარ ყოველ შემთხვევისათვის...

— რამ გაიძულა შენი ნებით გამოცხადებულიყავ მთავრობას და ხელში მისცემოდი?

— რევოლიუციონერის პატიოსნებამ და ხალხის ჯალათების უსინიდისობამ!..

— ვის გულისხმობ ჯალათებად?

— მთელს მთავრობას, მის მოხელეებს, ღენერლებს, მოსამართლეებს, პოლიციას, მთავარმართებელს, თვით უმაღლეს მთავრობას!..

— შენ არ იცი, რომ ერთის მოკვლით მთავრობას ვერაფერს დააკლებ? მთავრობას ყავს აუარებელი ჯარი წვეტიანი ხიშტებით!..

— ეგ ხიშტები ვერაფერს უშველიან ჯალათებს... ეგ ხიშტები მაზოლიან ხელებს უჭირავს... შორს არ არის ის დრო, როდესაც ეს მაზოლიანი ხელები მიხვდებიან ყველაფერს და დღეს ჩვენკენ მომართულ ხიშტის წვერებს თქვენსკენ შემოატრიალებენ!.. დღეს ჯალათები გვასამართლებენ ჩვენ ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთ, მაგრამ ხვალ კი ჩვენ გავასამართლებთ იმ ჯალათებს და დავასამარებთ საუკუნოდ!

თავხედი გმირის პასუხმა საშინლად აალელვა იქ მყოფი მთავრობის მოხელენი.

მას ზიზღით და შურით უყურებენ.

ის კი დგას ერთ ალაგას განაჩენის მოლოდინში ამაყად, წარბშეუხრელად.

— მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით—კითხულობს მოსამართლე და ყველანი ფეხზე წამოიჭრებიან—ჩიესაჯა სიკვდილით დასჯა მუშა არსენა ჯორჯიაშვილს...

ყველანი მიაჩერდენ არსენას.

მათ უნდოდათ ენახათ საცოდავი, სიკვდილის გაგონებით, შეშინებული მუშა, სასოწარკვეთილი, მტირალი, ცრემლით პატიების მთხოვნელი...

მაგრამ, დახეთ საკვირველებას!

ის კი იდგა სალ კლდესავით და სასოწარკვეთილების ნაცვლად ღიმილით მოისმინა ჯალათების განაჩენი...

## XI. სახრჩობელა.

ორთაჭალის ციხის მახლობელ ხევში სახრჩობელაა ამართული.

ციხის მხრიდან მოყავთ არსენა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი სახრჩობელაზე უძრავად ეკიდა უსულო გვამი...

გახარებული ჯალათები დღესასწაულობენ...

მათ უხარიანთ, რომ მოსპეს თავიანთი მტერი არსენა ჯორჯიაშვილი. უხარიანთ, მაგრამ ის ავიწყდებათ, რომ ნაძალადევის ქოხებში კიდევ ბევრი დარჩა ჯორჯიაშვილები, ერთხელ დაწყებულ საქმეს თავს არ დაანებებენ, საქმეს ბოლომდე მიიყვანებენ და ანგარიშს მოსთხოვენ მას, ვინც დღეს დღესასწაულობს ჯორჯიაშვილის მოსპობას!..

—

გავიდა თხუთმეტიოდე წელიწადი.

იფეთქა დიდმა რევოლიუციამ და იმ ჯალათებს, რომელნიც ოდესმე ასამართლებდენ და სიკვდილით სჯიდენ თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, ეხლა კი მათ თვითონ მოუხდათ საბრალმდებლო სკამზე ჯდომა...

იგინი გაასამართლა მუშათა კლასის რევოლიუციონურმა სასამართლომ და ღირსეული განაჩენიც გამოუტანა...

ხოლო იმ ადგილს, სადაც ჯორჯიაშვილი გამოეცხადა თავის ჯალათებს და ამით გადაარჩინა სიკვდილს ათასი უდანაშაულო ადამიანი, მადლიერი მუშური მთავრობა ძეგლით შეამკობს და დაამშვენებს იმ არე-მარეს... რევოლიუციონერი თბილისი ემზადება ძეგლის დასადგმელად...

მუშა **ნიკო ახლამაზაშვილი.**

## წითელ თებერვალს

წითელ თებერვალს  
გულწრფელი  
ჩემი სალამი  
და წითელ ლაშქარს,  
ძლევა-მოსილს  
პირმშოს ოქტომბერს.  
მომარჯვებული  
ხელში ეპყრას  
ბრძოლის ალამი,  
მთელი მსოფლიოს  
ბოროტებას  
დაამხობდეს ძირს.  
დეე, კანკალებდეს,  
ცახცახებდეს  
მტარვალთ ბანაკი,  
რომ თქვენის ხელით  
გაითხაროს  
მათი სამარე.  
მიწის პირიდან  
აღიგავოს  
მათი ხსენება  
და სამუდამოდ  
ჩაესვენოს  
მათი მზე, მთვარე.  
ვაშას ძახილით  
მივეგებნეთ  
შრომის სამეფოს,  
კიდით-კიდემდე  
გადვიხედოთ  
დღესასწაული.  
და დავამყაროთ  
კაცთა შორის  
თანასწორობა,  
შრომისა შვილი  
თვითვე გახდეს  
თვის მესვეური.

**შაქრო ნავთლუღელი.**

## მე-4 წელზე

ო, საქართველო!.. გიჟი ჭენება!..  
დღეს იხდის ზეიმს მეოთხე წელზე...  
მისი ოქტომბრის ვარდის მშვენება,  
კოცნად ეხვევა წითელ მზეს ყელზე!..

—

გაისმის ბუკი!.. მოჭქრის შვენება,—  
თავისუფლების მძლავრად რეკს ზარებს;  
მისი ახალი ჰიმნით შენება,—  
ძველ ნანგრევებზე, მტრებს აზანზარებს!..

—

მოემართება ელვის მახვილით;  
რევოლიუციის ანცი მაყარი;  
აჯანყებული სულის ძახილით  
გრიგალის ფრთებზე ამონაყარი!..

—

ცა დაჰქათქათებს, იის თვალება,  
მის ულვირო ყალყზე მდგარ რაშებს;  
უკვდავი ლეგენდით იალება—  
და მარადიულ მარშით რიჟრაჟებს!..

—

ამღერებული აშაყი ვნება  
შეშლილ დროშების ევლება კალთებს;  
ბრძოლის ველებზე, ურჩ შერკინებად,  
მუდმივ ძიების კოცონებს ანთებს!..

—

ლამაზ ქვეყანას სდაფნის ბუნება  
შრომის გუგუნით ზე აღმართული;  
კომუნა ტროფოზით ესალბუნება  
და, ისმის, ძლევით, სიტყვა ქართული!..

**ხ. ერ—ლი.**

## წითელ ჯარს

(7 წლის თავზე)

მოდის ამაყი წითელი ჯარი,—
ვინც, რომ ბრძოლებში არ იცის დაღლა;
მშრომელთ მტერთა გულს დაუსვა ჯვარი...
— დაჭარით ბუკი! ქუდები მაღლა!..

—

მან მოაშორა პატარა ერებს
კაპიტალიზმის ხელში ტყვეობა;
ძლევით ჭლახავდა ბუმბერაზ ერებს—
დღეს მეშვიდეა მისი დღეობა!..

—

მოდის ახალ თქმით ანაღერები,—
ძველ მსოფლიოზე რისხვად ჰყრის ალებს;
კომუნიზმის მზით ანამღერები
თავხედ ქუჩებზე ჰკივის, გრიალებს!.

—

ო, წითელ გმირებს თან მოაქვთ, შვებით,
თავისუფლების ურჩი ანთება;
ბრძოლებში ნაფლეთ ლამაზ დროშებით
მათი ყიჟინა შორს იფანტება!..

—

— ვაშა, წითელი საზღვრის გუშაგებს!.
— სალიუტ! მადლობა თავაზიანი...
შრომის სუფევის მცველ ამხანაგებს
ფერხთ გავუშალოთ ვარდი, მზიანი!..

ხ. — ნ.

## 25 თებერვალი

ირგვლივ ბნელოდა,
მკაცრი ზამთარი
თებერვლის დღეებს
ზანტათ ითვლიდა...

თოვლი, სეტყვა და
ქარის ზუზუნი;
საგაზაფხულო
შრომის ჰიმს ქმნიდა..

დედა ქალაქზე,
იდგა ბურუსი;
საზღვრებზე იყო
ჯანყი და თქეში...
სისხლის ფერ დროშამ
შემოანათა;
ჩვენს საამაყო
ტურფა მხარეში...

ბევრს არ სჯეროდა,
ის გამარჯვება;
ზამთრის ქარ-ბუქში
მძლე გაზაფხული...

ძველმა თბილისმა
უარყო იგი,
ბრაზით აავსო
ნაწყენი გული...

განვლო დღეებმა,
თვეებმა, წლებმა;
ალის ფერებმა
გაშალეს ძალა,
აღსდგა მაშვრალი,
მტკიცე შეგნებით
და საქართველომც
ფრთები გაშალა!..

სიო ხიდისთაველი.

## ტირანებს

ჩვენ ვაშენებდით რუხ პირამიდებს
და უდაბნოებს ვქმნიდით ქალაქად.
ჩვენ ცრემლებსა და შეურაცხყოფას
თქვენ არ აგდებდით გროშად, არაფრად.
არ გვქონდა ცოდნა, თავისუფლება,
ტანჯვით მიჰქროდა ჩვენი დღეები,
ქვეყნიერებას დავუდეთ ფუძე
და ავაშენეთ სასახლეები.
ეს ფუფუნება თქვენ შეიძინეთ
შრომით ქედმოხრილ მონების სისხლით.
ჩვენი თვალები აივსო ცრემლით
და სიხალისე მუდმივი ნისლით.
ოქროს თასებით სვამდით სიხარულს
წარბი არ გქონდათ სევდით შეხრილი,
ღვინო, ვარდები,—ეს ყველაფერი
ჩვენ მიერ იყო ტანჯვით შექმნილი.
ვასხამდით რკინას და სხვა ლითონებს,
გითლიდით ზურმუხტს და ბრილიანტებს.
ვიხუთებოდით მაღაროებში,
სადაც არასდროს მზე არ ანათებს,
და თქვენ სიცოცხლეს სწვავდით ქეიფში,
მაგრამ დასრულდა ტკბილი ზღაპარი,
მოვარდა უცებ ავი გრიგალი
და ბოროტებას დასდო საზღვარი.
ჩვენ აღვიმართეთ ვით სტიქიონი
თავისუფლების მოსვლის დღეებში.
ნუ თუ ჩვენ წინეთ ტყვილათ ვიტანჯეთ
ავი კატორღის ბნელ ციხეებში?
კმარა ცრემლები და დამცირება,
დასწყდა ჯაჭვები, გაჰქრა მონობა,
შთამომავლობას ვეღარ დასტანჯავს
ჯალათის ხელი და ბატონობა.
ეხ, ვიღას ძალუძს ძველნო მპყრობელნო,
ვინ დაგიბრუნოთ უფლება უკან?!
რომ გახდეს თქვენი საფლავის ჭია
და იწყოს თქვენი ფეხების ლოკვა?
ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ
სულს რომ გვაძრობდით თქვენ გახელებით
დღეს ჩვენ ხელში ხართ დაგიმორჩილებთ
და შემოგრკალავთ რკინის ხელებით.
იქნებ კვლავ დიდხანს დაგვჭირდეს ბრძოლა,
მაგრამ მყობადი ვიცით დაგვრჩება.
ხელთა გვაქვს საჭე თავისუფლების,
ჩვენშია ძალა და გამარჯვება.

პ. არსკი.

## 25 თებერვალი.

როს ოქტომბერის
აფრინდა რაში
ბობოქარ ქარში,
შენ საქართველო,
იგრძენი მაშინ,
რომ ედებოდა
გრიგალი ყველგან
წამებულ გლობუსს!..
ოქტომბრის ქარი
დაჰქროდა, დაჰქონდა ცეცხლი
ძველი მსოფლიოს გადასაწვავად...

რკინის მესიამ,
რომ გადმოხედა
ძველი ქვეყანას
კრემლიდან:
ისმოდა ყველგან
მეამბოხეთა
გუგუნი ზარის...
მზე იცინოდა
დიახ, კრემლიდან,
წითლად მორთული...
ისმოდა გლოვა
დასავლეთიდან...
დაჰქროდა ქარი,

## ლექსები რკინაზე.

რკინაში არის გოდება ბნელი
არის ბორკილის ჟღარუნი მწველი
ხმა აღსასრულის და მრისხანების.
შრაპნელის, ტყვიის ფრენა ქარული
როგორც სიმღერა ლეგენდარული
მიარღვევს ჰაერს მძლავრ გაქანებით.

—

რკინაში არის ძახილი მძლეური
როცა გუგუნი იწევა ზევით
და გაღვივდება ქურაში ალი,
ლითონის ჟღერით მარად ინთება
ჯაბუკურ გზნებით გარაინდდება
და გაბრწყინდება იმედით თვალი.

—

რკინაში არის სიწმიდე ცივი
და გამჭვირვალე ცქრიალა სხივი
გადაქცეული იდუმალ ძალად.
არის ფლეიტის ნაზის გოდება
როცა აინთებს ცეცხლის მოდება
და გაიღიმებს როგორც მაშხალა.

—

რკინაში არის სინაზე მკრთალი
ხან უხილავი და მოკანკალე
ვით სიყვარულის თეთრი ბროლები.
არის ალობა მზის ჩამავალის
როცა აგვანთებს გმირული ალი
ქარიშხალური გამოქროლებით.

—

. . . . . .

რკინაა ძალა გმირთა აღმზრდელი
ქვეყნის გიგანტი და გარდამქნელი
რკინა სწვავს მურით ცას გამჭვირვალეს,
წინ—ერთად გმირნო
რკინის შვილებო
დიდება მარად თქვენს ცეცხლის
თვალებს.

**მიხ. გერასიმოვი.**

---

აღშფოთებული,
მოწოდებებით დამძიმებული.
შენ საქართველო!
იგრძენი მაშინ,
ბნელ სუდარაში
ტკივილი მწარე;
შენს მუდარაში
იხატებოდა
შირაქის ველზე
სისხლი, რომ ღვარე.
იცანი თავი,
და ძმებთან ზავით
მოვარდა თქეში
თებერვლის თვეში
და ოქტომბერით
შენ ეზიარე!..
არ გღირსებია
შენ თავის დღეში
ასეთი ბედი...
(მემატიანე
დასწერს
„ქართლის ცხოვრებას“
25 თებერვალიდან)...
დღეს ზაჰაესი
გამართავს ტრიუმფს
და თვით ჩათახი,
ყველა ქარხნები
დაიყვირებენ
საყვირებიდან.
ბრძოლა შედგარი
და გადამწყვეტი,
რომ აღიარე
მაძიებელო ბედნიერების
შენ საქართველო!
ამ გზით იარე!!!..

**ფ. ნაროუშვილი.**

## ხელოვნების ქრონიკა.

**ახალი პიესა.** დრამატურგმა პოლიკარპე კაკაბაძემ დასწერა ახალი პიესა „მიწის ძვრა“. პიესის სიუჟეტი აღებულია ესპანეთის ცხოვრებიდან. პიესა დაიდგმება რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

**„ბასტილიის აღება“.** პროლეტკულტის ქართული სექტორი ამ ჟამათ ამზადებს რომენ როლანის რევოლიუციონურ პიესას „ბასტილიის აღება“. პიესა დაიდგმება ამ დღეებში ვახტანგ გარრიკის რეჟისორობით.

**კოტე მარჯანიშვილის მიწვევა ბაქოში.** აზერბეიჯანის განათლების სახალხო კომისარიატმა ბაქოში მიიწვია რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც ბაქოს აკადემიურ ოპერაში დასდგამს ახალ ოპერას რუსულ ენაზე.

**რუსთაველის თეატრის ახალი გამგე.** რუსთაველის თეატრის გამგეთ დაინიშნა სერგო ამაღლობელი.

**აკადემიური დრამა საგასტროლოთ პროვინციაში.** მარტის შუა რიცხვებიდან ქართული აკადემიური დრამა ორი თვით საგასტროლოთ მიემგზავრება პროვინციაში. დასი შემოივლის საქართველოს ყველა მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებს.

**„ურაგანი“.** მწერალმა დია ჩიანელმა დასწერა ახალი ორიგინალური პიესა „ურაგანი“. პიესა დაიდგა ქუთაისის აკადემიურ თეატრში.

**რეჟისორ სტრუისკის გარდაცვალება.** თბილისში დამბლისაგან გარდაიცვალა რუსული დრამის ცნობილი მსახიობი და რეჟისორი პ. სტრუისკი.

**„თეატრი და ცხოვრების“ იუბილე.** წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება-“ს შეუსრულდა არსებობის 15 წელი. ახლო ხანში რუსთაველის თეატრში გაიმართება ჟურნალის იუბილე.

**აკაკის გარდაცვალების 10 წლის თავი.** ამ დღეებში რუსთაველის თეატრში გაიმართება აკაკის გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავი საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ქართველი მწერლები.

**სახელმწიფო ოპერა რუსთაველის თეატრში.** სახელმწიფო ოპერა გადავიდა რუსთაველის თეატრში, ვინაიდან ოპერის თეატრში გაიმართება სრულიად საკავშირო ცაკის სესიის სხდომები.

**„დიონისეს ღიმილი“.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა კონ. გემსახურდიას ახალი ორიგინალური რომანი „დიონისეს ღიმილი“. წიგნში იქნება 250 გვერდი.

**„ჯანყოს ხიზნები“.** გამოვიდა და იყიდება მიხ. ადამაშვილის ახალი რომანი „ჯანყოს ხიზნები“.

**„კვაჭი კვაჭანტირაძე ოქტომბრის რევოლიუციაში“.** ამ დღეებში გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“ გამოუშვებს მიხ. ადამაშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ გაგრძელებას—„კვაჭი ოქტომბრის რევოლიუციაში“.

**რაჟდენ გვეტაძის ლექსები რუსულ ენაზე.** რუსულათ ითარგმნება და ახლო მომავალში ცალკე წიგნათ გამოვა რაჟდენ გვე-

ტაძის რჩეული ლექსები. ლექსებს რუსულათ თარგმნის გ. ცაგარელი.

**ახალი გაზეთი.** მარტიდან თბილისში ქართულ ენაზე გამოვა მწერალთა ერთი ჯგუფის ლიტერატურული გაზეთი.

**„ტარიელ მკლავაძე“.** ორი მარტიდან თბილისის საუკეთესო კინოებში აჩვენებენ საქ. კინო-მრეწველობის ახალ სურათს „ტარიელ მკლავაძე“-ს. დადგმა რეჟ. ი. პერესტიანის. მთავარ როლებს ასრულებენ ნატა ვაჩნაძე, კოტე მიქაბერიძე და მათე ქადაგიძე.

**„სამი სიცოცხლის“ გმირების გასამართლება.** ბათომში მოაწყვეს „სამი სიცოცხლის“ გმირების—ერემია წარბას და ბახვა ფულავას ლიტერატურული გასამართლება. სასამართლომ წარბას მიუსაჯა 5 წლით დაპატიმრება სასტიკი იზოლიაციით, ბახვა ფულავას კი—ფსიქიატრიული საავთმყოფოში მოთავსება.

**გ. გოგიტიძის გამგზავრება.** საქართველოს კინო-მრეწველობის დირექტორი-გამგე გერ. გოგიტიძე გაემგზავრა პარიზის სამხატვრო-სამრეწველო გამოფენაზე. გოგიტიძემ თან წაიღო 8 ქართული სურათი, რომლებიც ნაჩვენები იქნება პარიზის გამოფენაზე.

**დ. ყიფიანის მოწვევა რუსეთის კინოში.** თბილისში მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველი კინო-მსახიობი დ. ყიფიანი (ერემია წარბა—„სამ სიცოცხლეში“) მიწვეულია რუსეთის კინო-ორგანიზაციაში—„მეკრაბპომ-რუს“.

**სანდრო ინაშვილი ესპანეთში.** ცნობილი ქართველი მომღერალი სანდრო ინაშვილი ამ ჟამათ მღერის ესპანეთში. მის გასტროლებს აუარებელი ხალხი ესწრება. უკანასკნელათ ის გამოვიდა ნერონის პარტიაში.

**მომღერალ ქაშაკაშვილის გაგზავნა საზღვარგარეთ.** მომღერალი ქაშაკაშვილი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკალური განათლების დასამთავრებლათ იგზავნება საზღვარგარეთ.

**მხატვარ ქიქოძის სურათები.** საქართველოს სამხატვრო აკადემიამ შეიძინა მხატვარ შალვა ქიქოძის (რომელიც პარიზში გარდაიცვალა) რამოდენიმე სურათი.

**ბაქოს მუშათა თეატრი თბილისში.** აპრილიდან რუსთაველის თეატრში დაიწყება ბაქოს მუშათა თეატრის გასტროლები. რეპერტუარში, გარდა შარშანდელი პიესებისა. შეტანილია ახალი პიესებიც.

**ე. პოლევიცკაიას გამგზავრება.** ცნობილი მსახიობი ქალი ე. პოლევიცკაია მოსკოვის ყ. კორშის თეატრის ანსამბლით თბილისიდან საგასტროლოთ გაემგზავრა როსტოვში.

**ოპერეტები ქართულ ენაზე.** ოპერის მსახიობი ლადო კავსაძე ქართულ ენაზე სთარგმნის ახალ ოპერეტებს.

**ლადო კავსაძის საღამო.** აპრილის შუა რიცხვებში ოპერის თეატრში გაიმართება მომღერალ ლადო კავსაძის საღამო.

**ახალი ოპერა.** კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი სწერს ახალ ქართულ ოპერას—„სიცოცხლე სიხარულია“.

**დრამატიული სტუდია ბათომში.** ბათომში დაარსდა ქართული დრამატიული სტუდია, რომლის ხელმძღვანელათ მიწვეულია რეჟისორი მ. ქორელი.

**„ჯამბაზები“ ქართულათ.** ქართულ ენაზე გადაითარგმნა ლეონკოვალოს ცნობილი ოპერა „ჯამბაზები“. ოპერის დადგმა განზრახულია მიმდინარე სეზონში.

**ვიქტოროვის მოწვევა.** სახელმწიფო ოპერის დირექცია მოლაპარაკებას აწარმოებს ცნობილ მომღერალ ვიქტოროვთან თბილისში საგასტროლოთ ჩამოსვლის შესახებ.

**ნეჟდანოვა თბილისში.** ცნობილ მომღერალ ქალის ნეჟდანოვას გასტროლები თბილისში გაიმართება აპრილის ბოლო რიცხვებში.

**„პაატა ბატონიშვილი“.** ქართველ მსახიობთა ამხანაგობა დასადგმელათ ამზადებს დ. ნახუცრიშვილის ახალ ორიგინალურ პიესას „პაატა ბატონიშვილი“.

**ლენინგრადის ოპერის მსახიობები თბილისში.** წელს საოპერო სეზონის დასრულების შემდეგ, თბილისში ჩამოვლენ ლენინგრადის სახელმწიფო ოპერის ცნობილი მომღერლები, რომლებიც სეზონს დაამთავრებენ თბილისში მაისის დამლევამდი.

**მოსკოვის ოპერეტა თბილისში.** აპრილიდან თბილისში იწყება მოსკოვის ოპერეტის გასტროლები გრეკოვის და ქსენძოვსკის მეთაურობით.

**მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძის ავადმყოფობა.** ქართული აკადემიური დრამის მსახიობი ქალი ვერიკო ანჯაფარიძე ამ ჟამათ ავათ არის. იგი საექიმოთ იგზავნება სოხუმში.

**„ტოსკა“ ქართულათ.** ქართულათ გადაითარგმნა პუჩინის ოპერა „ტოსკა“, რომელიც დაიდგმება ახლო მომავალში.

**პროლეტარული პოეტების ლექსები რუსულათ.** პოლიტ-განათლების მთავარ მმართველობამ გამოსცა ქართველ პროლეტარულ პოეტების ლექსების კრებული რუსულ ენაზე.

**ანტიგონე.** პეტრე ქავთარაძემ ბერძნულიდან გადმოთარგმნა სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“, რომელიც ცალკე წიგნათ გამოვა.

**ლ. სობინოვის ჩამოსვლა.** აპრილის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოვა სახალხო არტისტი ლ. სობინოვი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 6 წარმოდგენაში.

**ფრანგული ჰიდაობა.** ძმ. ტანტების კირკში გაიხსნა ფრანგული ჰიდაობის ჩემპიონატი, რომელშიაც ჯერჯერობით მონაწილეობას იღებს 25 მოჰიდავე.

## რუსეთი

**„შავი გულისათვის“** „გოსკინო“ შეუდგა ახალი კინო-სურათის—„შავი გულისათვის“—გადაღებას; სურათის დიდი ნაწილი გადაღებული იქნება დონის ბასეინის მაღაროებში.

**„ალიოშა-შა“.** „სოვფილმის“ საწარმოო კოლექტივი ამ დღეებში გამოუშვებს ახალ საბჭოთა კომედიას 2 ნაწილად—„ალიოშა-შა“. სცენარი და დადგმა—ნ. ნ. იუდინის. მთავარ როლებში: ვ. გერასიმოვა და ა. ჩერკასკი.

**„ორთავიანი იხვი“.** „სევზაპკინომ“ დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა ახალი კომიკური სურათის—„ორთავიანი იხვი“-ს გადასაღებად. სურათს სდგამს რეჟისორი ელ. შმიდტგოფი.

**„კომუნიზმის მიკრობი“.** საბჭოთა ფილმა „კომუნიზმის მიკრობი“ სევზაპკინომ გაყიდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში და სამხრეთ ამერიკაში.

**„ყელბატონები“.** „სევზაპკინო“ ამ დღეებში დაამთავრებს მეცნიერულ-პოპულიარულ ფილმის „ყელბატონები“-ს გადაღებას. სურათში მოხერხებულად ჩართულია ანტი-რელიგიოზური პროპაგანდა.

**ფეხბურთი.** მარტის ბოლო რიცხვებში თბილისში გაიხსნება ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონი; სეზონი საინტერესო იქნება, რადგან მოსალოდნელია საქალთაშორისო შეჯიბრებების მოწყობა.

**სასპორტო ჟურნალი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ყოველთვიური სასპორტო ჟურნალი ქართულ ენაზე.

**ფიზკულტურა საქართველოში.** მოსკოვის გაზეთი „წითელი სპორტი“ ახლო მომავალში გამოუშვებს სპეციალურ ნომერს, რომელიც მიძღვნილი იქნება საქართველოს ფიზკულტურისათვის.

**ჩოგბურთი.** ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ჯომარდულ თამაშობათა განწყვრთან დაარსდა ჩოგბურთის ქვე-განწყვრი. შემადგენლობა: არუსტანოვი (თავმჯდომარე), გომერი, იზაშვილი, კატონოვი და ხანგულიანი.

**კალათბურთი და ხელთბურთი.** იმავე განწყვრთან დაარსდა კალათბურთის და ხელთბურთის ქვე-განწყვრი შ. ჰელიძის თავმჯდომარეობით.

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფ. კომიტეტის



და

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

# ყოველ დღიური ორგანო

# „კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა **მარტისათვის** მიიღება ხელის მოწერა

## ხელის მოწერის პირობები:

### მუშა-მოსამსახურეებისათვის, წით.-არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის გაგზავნით

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 თვით | 75 კაპ. | 4 თვით | 2—85 კაპ. |
| 2 „ | 1—45 „ | 5 „ | 3—55 „ |
| 3 „ | 2—15 „ | 6 „ | 4—25 „ |

### ყველა დანარჩენებისათვის:

| ტფილისში მიტანით: | | | | პროვინციაში გაგზავნით: | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 თვით | 1 მანეთი | 4 თვით | 3 — 85 კ. | 1 თვით | 1 — 20 კაპ. | 4 თვით | 4 — 65 „ |
| 2 „ | 1 — 95 კ. | 5 „ | 4 — 80 „ | 2 „ | 2 — 35 „ | 5 „ | 5 — 80 „ |
| 3 „ | 2 — 90 „ | 6 „ | 5 — 75 „ | 3 „ | 3 — 50 „ | 6 „ | 6 — 95 „ |

ყველა ხელის მომწერლებს მიეცემათ ორკვირეული დამატებები:

1 ჟურნალი „ჩირაღდანი“
2 „მეცნიერება და ტექნიკა“

6 თვით ხელის მომწერლებს კი (რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს) გარდა ამისა **დაურიგდებათ:**

ფ. მახარაძის წიგნი — „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“
ფ. ენგელსის „ — „კომუნიზმის პრინციპები“
კ. ორაგველიძის — „რელიგია და მარქსიზმი“

კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24.


ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პრ. 91. შეკვ. № 3957/668. მთავლიტი № 283 დაიბეჭდა 13.500 ც.